# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №148(217) შაბათი, 19 აგვისტო, 1995 ფასი 250 000 კუპონი

## ფერისცვალება



„ვითარცა წადიერად მოსურნენი მორწმუნენი გონებითა აღვიწინეთ მთასა მას წმიდასა მოსეს და ელიას თანა, თავყუანის-ვცემდეთ დღეს ქრისტესა და მოციქულთა თანა შევძრწუნდეთ ელვარედ ხილვასა საშინელსა ნათლისა უხილავისასა“.

იოანე მინჩხი

6 აგვისტო (ახ.სტ. 19 აგვისტო)

12 დიდი დღესასწაულიდან ერთ-ერთი ფერისცვალებაა. ამ დღეს ეკლესია იხსენებს თაბორის მთაზე აღსრულებულ სასწაულს — როდესაც იესო ქრისტემ თავისი სამი მოწაფე — პეტრე, იაკობი და იოანე აიყვანა თაბორის მაღალ მთაზე და მათ წინაშე ფერი იცვალა —! მისი სახე მზესავით გაბრწყინდა, ტანისამოსი კი ნათელივით გასპეტაკდა. აქვე გამოცხადდა ძველი დროის ორი უდიდესი წინასწარმეტყველი — მოსე და ილია — რომლებიც მას ესაუბრებოდნენ. პეტრე მოციქულმა უთხრა იესოს: „უფალო, რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა. თუ გნებავს, გავაკეთებ აქ სამ კარავს: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ილიას“. არც კი დაუმთავრებია ეს სიტყვები, რომ ნათელმა ღრუბელმა დაჩრდილა ისინი და ხმა გაისმა ღრუბლიდან: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე, ამას უსმინეთ!“ შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხნენ, ხოლო როდესაც იესომ ისინი წამოაყენა, მის გარდა ვერავინ იხილეს. მთიდან ჩამოსვლისას მაცხოვარმა გააფრთხილა მოწაფეები, — სანამ ძე კაცისა მკვდრეთით არ აღდგება, არავის მოუთხროთ ამ ხილვის შესახებო.

ეკლესიური ტრადიციით, ფერისცვალებისას იესო ქრისტემ თავისი ღვთიური ბუნება გაამჟღავნა. მან, ვინც „იყო ნათელი ჭეშმარიტი“, უჩვენა ეს ნათელი თავის მოწაფეებს, უჩვენა იმდენი, რამდენის მიღებაც ამ უკანასკნელთ შეეძლოთ. „ფერისცვალებისას მან გამოაცხადა არა სხვა რომელიმე ნათელი, — წერს წმ.მღვდელმთავარი გრიგოლ პალამა, — არამედ მხოლოდ ის, რომელიც დაფარული ჰქონდა ხორციელ კრეტსაბმელს მიღმა. ეს ნათელი სალმრთო ბუნებისაა — ხელთუქმნელი, ღვთიური...

„ქრისტეს ნათელი არა გრძნობადი, არამედ სულიერი ნათელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოციქულები ვერ იცნობდნენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს, რომლებიც მათ არასდროს ენახათ.

მაცხოვრის ფერისცვალება მიგვანიშნებს, რომ როგორც თაბორის მთაზე იესო ქრისტეს ადამიანური ბუნება ღვთაებრივმა გააბრწყინა, მსგავსად გაბრწყინდებიან ისინი, ვინც გამუდმებული მეცადინეობითა და ლვაწლით თავის გონებას ღვთისკენ წარმართავს.

ფერისცვალების დღესასწაული დიდი უქმეა და, რამდენადაც მარიამობის მარხვაში აღინიშნება, თევზით ხსნილდება. ხალხური ტრადიციით, ამ დღეს ხდება ყურძნის და სხვა ხილის კურთხევა. მთაში ამბობდნენ: „ფერიცვალება დღესაო,/ ქარი ვერ დასძრავს ხესაო“ — იმდენად დიდ უქმედ მიიჩნევდნენ. რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში მიცვალებულებს საკურთხს უმზადებენ, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს ყოველგვარი ხილი, სიმინდი და სხვა.

კვირიკე სუზარი

რამდენიმე წლის წინ პოლონეთი იგივე პრობლემების წინაშე იდგა, რომელიც დღეს საქართველოს უდგას — ჰიპერინფლაცია, უმუშევრობა, შიმშილი, მათხოვრობა, სოციალური დაუცველობა. დღეს ამ ქვეყანაში რადიკალურად შეიცვალა ვითარება და ეს მოხერხდა ლეშეკ ბალცეროვიჩის გეგმის „შოკური თერაპიის“ წყალობით. პოლონეთის ეკონომიკის რადიკალური სტაბილიზაციის მთავარი არქიტექტორი ლეშეკ ბალცეროვიჩი დღეს საქართველოს სტუმარია, ბუნებრივია, საინტერესოა, რას ფიქრობს იგი საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის შესახებ?

იხ. მე-4 გვ.

## დღეს, 19 აგვისტოს გიორგი ჭანტურია 36 წლის გახდებოდა



როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს? როდის უნდა მოეღოს ბოლო ღალატს, უთავბოლობას, კაბინეტებში შესული ბანდიტების თარეშს, ქვეყნისა და მოქალაქის ფსიქიკის დაშლას და, რაც მთავარია, უიმედობას, სრულ სასოწარკვეთას?

დიდი ხანია დრო დადგა გაბედული და გადამწყვეტი მოქმედებების, თორემ მალე შესაძლო და მოსალოდნელია ისეთი პროცესების დაწყება, რაც საბოლოოდ ამოაგდებს და დაღუპავს ჩვენს ქვეყანას.

გიორგი ჭანტურია

### ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დღესაც ინარჩუნებს რეიტინგს —

ინტერვიუ გაიო ხუხუნაიშვილთან

იხ. მე-3 გვ.

### არ მიპოვნია, მომიპარავს, ახლა ჩემია... ანუ ზღვარსგადასული თავხედობის, ყვითელი ტაქსისა და ულტიმატუმის ამბავი

იხ. მე-6 გვ.

დავით სალარიძე:

### «საგადასახადო სამსახურმა იურიდიული პირების მიმართ სანქციების გატარება შეაჩერა»

იხ. მე-4 გვ.



## გახსოვდეს აფხაზეთი!

სარედაქციო კოლეგია:

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
ვასილ მაღლაფერიძე

მთავარი რედაქტორი
მამუკა ფაჩუაშვილი

რედაქტორი
პაატა ვეშაპიძე
გივი ბოლოთაშვილი
დავით კახაბერი
შადიმან შამანაძე
ვახტანგ ხალია
გულსუნდა სიხარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი
მაია ტორაძე

რედაქცია

პოლიტიკა, ინფორმაცია:
ია ანთაძე
დიანა გაბროშვილი
ხათუნა რეხვიაშვილი
მიხეილ კვიციანი
დავით ნინიკაშვილი
ზაზა ფაჩუაშვილი

სპეციალური კორესპონდენტი შიდა ქართლში
გივი ბორცვაძე

„არილი“
რევაზ სირაძე
ირმა არჩუაშვილი
რევაზ გოგია

„თვალსაწიერი“
თიურა ვაშაძე
ირმა კახნიაშვილი
მაია უკლება
ნათია ფანჯიკიძე
სოსო ბარნაბიშვილი

სპორტი
კახა ფაჩუაშვილი
გოგა კვიციანი

იუმორი
ნინო სვანიძე

სარეკლამო სააგენტოს დირექტორი
დიმიტრი მოსულიშვილი

ფოტოილუსტრაცია
გიორგი შატბერაშვილი

ტექნიკური დირექტორი
მამუკა ადამია

რედაქციის გამგე
ნატა სურმავა

მთ. ბუღალტერი
ციალა ლომიძე

კომპიუტერული ცენტრის უფროსი
თენგიზ ჩოლოყაშვილი

პროგრამისტი
თამაზ ჩხაიძე
ლალი ჩოლოყაშვილი

ოპერატორები:
თამარ კერესელიძე
ელისო კალმახელიძე
მარი ნიკოლეიშვილი

კორექტორები:
ქეთევან ფოფხაძე
ეთერ ვიგლიანი
მზიულა სირაძე

მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ.№7
ტელეფონი: 29-48-05


## ყიდიან ხე-ტყეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა გარდაბნის რაიონის სოფ. ტაზაკენდში დააკავეს ავტოკოლონა (2 კამაზი, 1 მაზი), რომელსაც 40 კუბომეტრი ხე-ტყე გაჰქონდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. როგორც გაირკვა ხელშეკრულების თანახმად ხე-ტყე ამბროლაურის რაიონის ფირმა „სამარცხლიოს“ უნდა ჩამოეტანა თბილგვირაბმშენის ბაზაში. ამის ნაცვლად ფირმის მომმარაგებლის იური თომაძის პირადი ინიციატივით ხე-ტყე გასაყიდად მიჰქონდათ მეზობელ რესპუბლიკაში. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში, შსს პრესცენტრის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ვალერიან გოგოლაშვილმა განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოში გამოვლინდა ხე-ტყის გაკაფვისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ (აზერბაიჯანი სომხეთი, თურქეთი) გატანის უამრავი ფაქტი. მაგალითად 16 აგვისტოს გარდაბნის რაიონში პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს სატვირთო ავტომანქანები (1 კამაზი, 1 მაზი), რომელთა მძღოლებს სათანადო საბუთების გარეშე 50 კუბომეტრი ხე-ტყე გაჰქონდათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

## დაიწყო ვიზიტი

17 აგვისტოს 8 დღიანი მეგობრული ვიზიტით საქართველოში ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის ყოფილი ვიცეპრემიერი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი ბატონი ლეშეკ ბალცეროვიჩი. ვიზიტის მიზანია — აღმოუჩინოს საქართველოს მთავრობას დახმარება ეკონომიკური პრობლემების დაძლევაში. იმავე დღეს პოლონელი სტუმარი შეხვდა ვიცეპრემიერ თემურ ბასილიას, რომელიც სახელმწიფოს მეთაურთან ერთად მასპინძლობას უწევს მას. 18 აგვისტოს ლ.ბალცეროვიჩი შეხვდა და ესაუბრა საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელს ტან იენ ვანგს. 19 აგვისტოს დაგეგმილია შეხვედრა ედუარდ შევარდნაძესთან.

## გაძარცვეს უცხოელები

როგორც უკვე ვიუწყებოდით 15 აგვისტოს მესტია-ხაიშის საგზაო მონაკვეთზე ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს ავტოკოლონა, რომელსაც ჰუმანიტარული ტვირთი მიჰქონდა მესტიის რაიონის მოსახლეობისთვის. 18 აგვისტოს სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში გაეროს სასურსათო პროგრამის კავკასიის რეგიონალური ბიუროს (ტვირთის მფლობელი) ხელმძღვანელის მოადგილემ ვანო მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ფქვილით დატვირთული 15 სატვირთო მანქანა და 2 ნივა მესტიის რაიონის სოფ. ეცერთან იარაღის მუქარით გააჩერეს ძმებმა, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, მამა-შვილმა აფრასიძეებმა. მათ უცხოელებს წაართვეს ვალუტა, პირადი ნივთები და მიიმალნენ. მიუხედავად ინციდენტისა, ჰუმანიტარული ტვირთი დანიშნულების ადგილას ჩაიტანეს და დღეისთვის დახმარების 80 პროცენტი განაწილებულია.

იპრინდა

## უცხოეთი

### არაბები ბოსნიელებს ეხმარებიან

„ეურონიუსის“ მიერ გადაცემულმა ვიზუალურმა მასალებმა ცხადყო, რომ ლიბანელი და სირიელი არაბები საკმაოდ აქტიურად აგროვებენ არც თუ უმნიშვნელო თანხებს ბოსნიელი მუსლიმანების დასახმარებლად. რაც შეეხება საკუთრივ რეგიონს: ამ დღეებში უამინდობის გამო სარაევოში ვერ ჩაფრინდა აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილე რიჩარდ ჰოლბრუკი. ვიზიტის მიზანია ბოსნია-ჰერცოგოვინაში მშვიდობის დამყარების ამერიკული მოდელის განხორციელებისთვის მებრძოლ მხარეებთან მოლაპარაკება. ეს გეგმა კი, როგორც ცნობილია, გორაჟდეს ბოსნიელი სერბებისთვის გადაცემას ითვალისწინებს. ამერიკული ვარიანტი სრულად გაიზიარა და მოიწონა პროსერბული ორიენტაციის მქონე რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, მაგრამ ამის კატეგორიული წინააღმდეგია სერბ მუსლიმანთა ლიდერი ალია იზიდბეკოვიჩი, თუმცა, რიჩარდ ჰოლბრუკი იმედს არ კარგავს, რომ მოლაპარაკება მიზანს მიაღწევს. მან განაცხადა, რომ სარაევოში ჩაურევლად იგი არ აპირებს სამშობლოში დაბრუნებას.

### გააძევეს ალბანელები

რადიო“ თავისუფლება“გვემცნობს, რომ 17 აგვისტოს საბერძნეთის ხელისუფლებმა ქვეყნის ტერიტორიიდან გააძევა ათას ექვსასი ალბანელი ემიგრანტი, რომლებმაც, ჯერ კიდევ ალბანეთში არსებული კომუნისტური რეჟიმის დროს შეაფარეს თავი საბერძნეთს. იმ პერიოდში ახობით ათასმა ალბანელმა არალეგალური გზით გადალახა ქვეყნის საზღვრები და მეზობელი რესპუბლიკებს, მათ შორის საბერძნეთსაც შეეხიზნა.

### კვლავ ჩეჩნეთი

რადიო „თავისუფლების“ ცნობით 17 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გროზნოს გარეუბნებში დაბომბეს ჩეჩენ მებრძოლთა პოზიციები. მიუხედავად რუსეთის მხარის მტკიცებისა, რომ ცეცხლი პირველად მოწინააღმდეგემ გახსნა, „თავისუფლების“ გროზნოელი კორესპონდენტი გადმოსცემს, რომ მან საკუთარი თვალის იხილა, თუ როგორ დაუშინეს ფედერაციის ჯარებმა პირველებმა საარტილერიო ცეცხლი მშვიდობიან სოფლებს, ხოლო შემდეგ კი თვითმფრინავებით დაბომბეს ისინი.

### ქურთები არ ცხრებიან

სააგენტო „ანატოლია“ თურქეთიდან იტყობინება, რომ 17 აგვისტოს ქურთების მუშათა პარტიის სახელით მოქმედმა ტერორისტულმა ჯგუფმა შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა თურქეთ-ერაყის საზღვართან მდებარე ერთ-ერთ სამხედრო ნაწილზე. თვითმხილველთა თქმით ნაწილთან ახლოს მიკროავტობუსი შეჩერდა, საიდანაც ქურთები გამოცვივდნენ. მათ ყუმბარმტყორცნებით ჭურვები დაუშინეს თურქ ჯარისკაცებს და იმავე ავტობუსით მიიმალნენ.

### დააპატიმრეს... ბუტროს ღალი

წინასწარვე გვსურს დაგამშვიდოთ, რომ საქმე ეხება გაეროს გენერალური მდივნის ძმისწულს ბუტროს ქარიმ ღალს, რომელიც ეგვიპტის პოლიციამ ძლიერმოქმედი ნარკოტიკის LSD ვაჭრობისთვის დააპატიმრა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ სასჯელს გამოუტანს მას სასამართლო. ისე კი, ცნობისთვის: ნარკოტიკებით მოვაჭრე, ეგვიპტეში კანონით სიკვდილით ისჯება.

### გაათავისუფლეს ერაყელი ტყვეები

სააგენტო „ირნა“ იუწყება, რომ ამ დღეებში თეირანის ციხიდან გამოუშვეს და სამშობლოში გამგზავრეს ასი ერაყელი სამხედრო ტყვე, რომელიც ირან-ერაყის ომის დროს ტყვედ ჩაგდეს ირანელებმა. ეს აქტი ქვეყნის რელიგიური ლიდერის აიათოლა ხამენეის ბრძანებით განხორციელდა და ისლამის ფუძემდებლის მუჰამედის დაბადების დღეს მიეძღვნა.

### აფეთქება პარიზის მეტროში

ფრანს-პრესი იუწყება, რომ 17 აგვისტოს, დღისით ძლიერი აფეთქება მოხდა პარიზის მეტროს ერთ-ერთ სადგურში. აფეთქებამ 16 ადამიანი იმსხვერპლა. როგორც შემდეგ გაირკვა, საათის მექანიზმიანი ბომბი მეტროში მდგარ სანაგვე ურნაში ჩაედოთ. აღსანიშნავია, რომ სამი კვირით ადრე ანალოგიური ტერაქტი პარიზის მეტროპოლიტენის სხვა სადგურზეც მოხდა. მაშინ 7 ადამიანი დაიღუპა. ამ აფეთქებებზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის და არცერთ ორგანიზაციას უკისრია.

კავკასიონი

## განცხადებები

# ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის დადგენილება

### პარტიის მე-8 კონგრესის ჩატარების შესახებ

1. შეიქმნას ედპ-ს მე-8 კონგრესის მოსამზადებელი საორგანიზაციო ჯგუფი.

ხელმ. ვანო ხუხუნაიშვილი

2. განისაზღვროს ედპ-ის კონგრესში მონაწილეთა კვოტა შემდეგი ოდენობით: 603 წარმომადგენელი მთავარი კომიტეტიდან, ცენტრალური აპარატიდან და რეგიონალური ბიუროებიდან (251 ნამდვილი წევრი, 125 თავისუფალი, 227 მოწვეული).

3. შეიქმნას კონგრესის სამუშაო სექციები და საორგანიზაციო ჯგუფთან ერთად განისაზღვროს მუშაობის ფორმა.

1. იდეოლოგია — მ.გიორგაძე
2. ფრაქციის ოპონირების — გ.კობახიძე, ვ.ხუხუნაიშვილი, ი.სარიშვილი-ჭანტურია
3. პარტიული მშენებლობის — გ.გოგნიაშვილი
4. სოციალური საკითხების — გ.ჩახვაძე, დ.გადელია
5. მართლწესრიგი — დ.ჭელიძე, ზ.პატარიძე, დ.შუკაკიძე
6. სახელმწიფო მოწყობა — ო.მელქაძე, რ.საყვარელიძე
7. ეროვნული უმცირესობების — თ.შარმანაშვილი, ვ.ტალახაძე, ს.ნინწკალაძე
8. საგარეო ურთიერთობების — გ.კობახიძე, ი.სარიშვილი-ჭანტურია, რ.საყვარელიძე
9. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის — ვ.ხუხუნაიშვილი, ა.ჯიქია.
10. კულტურა, განათლება, ჯანმრთელობა, სპორტი — გ.კობახიძე, გ.კვაჭანტირაძე — დ.გადელია.
11. პოლიტიკური და საარჩევნო მარკეტინგი — კ.ჭუმბურიძე, ვ.ხუხუნაშვილი.
12. ეკონომიკა, ფინანსები — გ.ჩახვაძე, რ.სხირტლაძე.
13. ახალგაზრდობის — გ.კობახიძე, ლ.შენგელია (ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატის მონაწილეობით).
14. რელიგიის — მ.გიორგაძე, რ.ტომარაძე.
15. პრივატიზების — გ.ჩახვაძე, მ.ჯიბუტი, რ.სხირტლაძე.
16. მას-მედია და პოლიტიკა — გ.კობახიძე, ზ.ღონღაძე, ც.თვარაძე, ვ.ჭყოიძე.

4. საორგანიზაციო ჯგუფმა 6 სექტემბრამდე წარმოადგინოს კონგრესის ჩატარების გეგმა, დრო, ადგილი, სტუმრების შემადგენლობა, კონგრესთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა.

ედპ-ის პოლიტიკური მდივანი
მ.გიორგაძე

გაზეთ „კავკასიონში“ (1995 წლის 12 აგვისტოს № 146) გამოქვეყნებული № 1 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის შედეგებში გაპარულია შემდეგი უზუსტობა:

1. სააქციო საზოგადოება „ამალთეა“-ზე გრაფაში „რეგისტრაციის ნომერი“ № 00004 განაცხადის გასწვრივ პუნქტის ნომერი უნდა იყოს 63, ნაცვლად მითითებული 66 ნომრისა.

2. სააქციო საზოგადოება „ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა“-ზე № 58 პუნქტში გრაფაში „რეგისტრაციის ნომერი“ ნაცვლად მითითებული № 00003 უნდა იყოს 00013, ხოლო ნაცვლად მითითებული № 00005 უნდა იყოს № 00015.

# საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის განცხადება

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს უკანონოდ შექმნილი ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურათა ხელმძღვანელების განცხადება „აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურატურის“ მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის თამაზ ნადარეიშვილის დაპატიმრებაზე სანქციის გაცემის შესახებ. თამაზ ნადარეიშვილს ამჟამად საქართველოს მთავრობაში ვიცეპრემიერის პოსტი უკავია.

თ.ნადარეიშვილის დაპატიმრებაზე სანქციის გაცემის მიზეზი გახდა სისხლის სამართლის საქმის მასალები მის მიერ ვითომდა რიგი სახელმწიფო დანაშაულობების ჩადენის თაობაზე: კერძოდ, ომის პროპაგანდა, ერთაშორისი შუღლის გაღვივება, აფხაზთა გენოციდის ორგანიზაცია.

ბატონ თ.ნადარეიშვილის მიმართ მსგავსი განცხადებების გავრცელება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

როგორც აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკა, ისე მასში შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურატურა არავის უცვნია და მისი ფორმირება უკანონობას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უკანონოა.

აცხადებენ რა ბატონ თ.ნადარეიშვილის აფხაზეთის ტრაგედიის ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ, აფხაზ სეპარატისტებს კონკრეტული მიზანი აქვთ: ცილი დასწამონ და შეგნებულად შელახონ საქართველოს რესპუბლიკის ვიცეპრემიერის ავტორიტეტი, რომელიც იბრძოდა და დღემდე იბრძვის ადამიანის უფლებათა დაცვისთვის და ყოველ ღონეს ხმარობს ლტოლვილთა სამშობლოში დასაბრუნებლად.



## სერგო თავხელიძე

59 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი სერგო ივანეს ძე თავხელიძე. მან განვლო შემოქმედებით აღსავსე ცხოვრების გზა. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკამანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. 1958 წელს მუშაობა დაიწყო ახლად ჩამოყალიბებულ სახეხი ჩარხების ქარხანაში, სადაც თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში სახეხი ჩარხების გამოშვების საქმეში.

1969 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

შემდგომ წლებში მუშაობდა მრეწველობის სხვადასხვა ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მათ შორის მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელი წარმოებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა ტექნოლოგიური აღჭურვილობის საცდელ-ექსპერიმენტალური ქარხნის დირექტორად. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას. ბოლო წლებში კი მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლითონსაჭრელი ჩარხების კათედრის დოცენტად. არის მრავალი გამოგონებისა და სამეცნიერო შრომების ავტორი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცული იქნა რამოდენიმე სამეცნიერო დისერტაცია.

ბატონი სერგო იყო შრომაში თავდადებული და შემართული. მისი თვისებებიდან მკაფიოდ ვლინდებოდა პატიოსნება, ერთგულება, სამართლიანობა, სიყვარული. სწორედ ეს თვისებები კრებდა მის გარშემო უამრავ მეგობარსა და თაყვანისმცემელს.

მისი ნათელი ხსოვნა წარუშლელად დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულში.

მეგობრები

**ინტერვიუ**

# «ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დღემდე ინარჩუნებს მაღალ რეიტინგს»



## — გვესაუბრება ედპ-ს მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, იმერეთის ბიუროს თავმჯდომარე, პარლამენტარი ვანო ხუხუნაიშვილი

— გია ჭანტურიას დაბადების დღეა. როგორ ხვდება ედპ ამ თარიღს?

— 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს გიას 36 წელი შეუსრულდებოდა. ძალიან სიმბოლურია ჩვენთვის ეს თარიღი, თვითონაც ღრმადმორწმუნე კაცი იყო და ამ სიმბოლოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მის ხასიათშიც იყო ფერისცვალების მადლი და მისტიკური ძალა.

მისი სიკვდილის შემდეგ, პარტიამ მთელი რიგი სამუშაოები გაწია, რომ ეს უზარმაზარი დანაკლისი არ დამჩნეოდა იმ დონით, როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც ეს, ალბათ, გიას მკვლელებმა გათვალეს. ფაქტობრივად, გიამ ბოლო წლები მთლიანად პარტიულ მშენებლობას, პარტიაში კადრების აღზრდას მოანდომა და ის დრო, რომელიც პარლამენტის გარეთ დარჩენით დაიტოვა, ფუჭად არ დაკარგულა. მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენ ვაღიარეთ, რომ გიას ეს ნაბიჯი — არჩევნებში მონაწილეობის არმიღება — გამართლებული იყო — მოხდა პარტიის განმტკიცება, ახალი კადრების მომზადება, პარტიული სტრუქტურების სრულყოფა.

გია არ იყო ვიწრო გაგებით პოლიტიკოსი, ის უფრო ფართო მოღვაწე იყო, ძალიან ღრმად განიხილავდა ყველა საკითხს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას.

ყოველივე ამის გამო, ედპ-ს შენძლრევა იოლი არ იყო, მაგრამ უზარმაზარი დარტყმა მოგვაყენეს. გიას, როგორც გამოკვეთილ ლიდერს, პარტიაში ძალიან ბევრი ფუნქცია ჰქონდა და მთელ თავის დროს ამ საქმიანობას უთმობდა. ის ამბობდა, რომ პარტია იყო მისი სიცოცხლის გარანტია, ჩემი მოკვლა უკვე არავის შეუძლია, პარტია იმდენად სრულყოფილი მექანიზმიაო. სამწუხაროდ, დაზღვევის ამ მექანიზმმა მისი სიცოცხლე ვერ იხსნა, მაგრამ, მეორეს მხრივ, გაამართლა: პარტია მობილიზებულია, მისი სტრუქტურები მუშაობს და, ფაქტობრივად, გიას სიკვდილის შემდეგ პარტიის მოღვაწეობას, მის რეიტინგს თუ გადავხედავთ, იგი უცვლელია და ეს განაპირობა პარტიის ლიდერების მაღალმა დონემ.

— ეს მაღალი რეიტინგი თვითონ გიას ტრაგიკულმა დაღუპვამაც ხომ არ განაპირობა?

— გიას ფაქტორი ჩვენი პარტიის დიდი ძალაა და იგი, ალბათ, კიდევ დიდხანს იმუშავებს ჩვენს სასარგებლოდ. თვითონ პარტიაც მომზადებული შეხვდა ამ დარტყმას და შეძლო ამ ფაქტორისთვის რეალიზება გაეკეთებინა. დღეს საქართველოში პოლიტიკური ბრძოლა არაა ისე ადვილი, რომ მხოლოდ ერთმა ფაქტორმა განსაზღვროს პარტიის რეიტინგი. გია ჩვენც და საზოგადოებასაც ხელისუფლების ალტერნატივად მოგვაჩნდა, 8 დეკემბრის შემდეგ კი, გამოკვეთილი ლიდერის დეფიციტი შეიქმნა, რაც უნდა ამოვსებულიყო, თუმცა ლიდერები ჩვენს პარტიას არ აკლია. მოხდა გარკვეული ფუნქციების გადანაწილება-გადახალისება. პრეზიდიუმმა ძალიან დიდი დატვირთვა აიღო თავის თავზე. მოგეხსენებათ, აქ 7 კაცია და შიდაპარტიული სტრუქტურების მუშაობისა თუ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის მთელი ბერკეტი რამდენიმე პიროვნების მხრებზე გადანაწილდა.

— გია ჭანტურიას შემდეგ ედპ-ში ხომ არ წარმოიშვა პოზიციების პოლარიზაცია რამდენიმე ლიდერს შორის?

— 8 დეკემბრის შემდეგ მაშინვე დაიწყო კამპანია იმ აზრის დასამკვიდრებლად, თითქოს არსებობს რაღაც განხეთქილებები, განსხვავებული პოზიციები, მაგრამ ჩვენი პარტიის გამოკვეთილი ნიშანი ყოველთვის იყო და დღესაც არის მისი შეკრულობა და მონოლითურობა. ეს კამპანია დღესაც არ წყდება. რა თქმა უნდა, პარტიაში არის რამდენიმე ლიდერი, რამდენიმე გამოკვეთილი პიროვნება, მაგრამ პოზიციების რადიკალური განსხვავება, განხეთქილების რაიმე ნიშნების არსებობა გამორიცხულია, ედპ თანამოაზრეებისგან შემდგარი, კარგად შეთანხმებული ორგანიზმია.

— თქვენ ბრძანეთ, რომ დაიწყო კამპანია პარტიაში ბზარის გასაჩენად. ხომ ვერ იტყვით, ვინ აწარმოებდა ამ კამპანიას?

ეს აზრი ძირითადად პრესის ფურცლებზე ფიგურირებდა. ჩვენ ხელოვნურად ვქმნით სიტუაციას, რომ ყველა ლიდერი სრულად წარმოჩნდეს საზოგადოების წინაშე და ამ მომენტებს რატომღაც თავის სასარგებლოდ იყენებენ, მაგრამ ამაში საგანგაშო არაფერია, როგორც იტყვიან, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო.

—მოახლოვდა ედპ-ს მორიგი ყრილობა. აპირებთ თუ არა პარტიის თავმჯდომარის არჩევას და, თუ აპირებთ, ვინ არიან პრეტენდენტები?

— ყრილობაზე რამდენიმე საკითხი გვაქვს გასარკვევი. ძირითადად არჩევნებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ვიმუშავებთ და რა თქმა უნდა, თავმჯდომარის არჩევის საკითხიც დადგება. ამაზე უკვე ვმუშაობთ და რაიმე გართულებები არ შევეხვედრია. თავმჯდომარეობის კანდიდატების გამოსაკვეთად მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ შესაძლო კანდიდატები შეიძლება იყვნენ პარტიის პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე, ქალბატონი ირინა სარიშვილი, გიორგი კობახიძე, გიორგი გოგნიაშვილი... ჩვენთან არის ხალხი, რომელთაც ალბათ პრეტენზიაც ექნებათ პარტიის თავმჯდომარეობაზე და ამის შესაძლებლობა და უნარიც აქვთ. ჩვენ ერთად ბრძოლის და მუშაობის ისეთი გამოცდილება გვაქვს, რომ რაიმე პრობლემები მათ არ შეექმნებათ.

— გია ჭანტურიას მკვლელობის ძიებაში თუ არის რაიმე სიახლე?

— დეკემბერშივე შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, რომელშიც სამი სტრუქტურა შედის და პრიორიტეტი რესპუბლიკის პროკურატურამ აიღო. ოპერატიულ მასალებში ჩახედვა არც ჩვენ მოგვითხოვია და არც მათ შემოუთავაზებიათ. თავიდან დაიწყეს პარტიის შიგნით განაწყენებულების ძებნა, რაც ალოგიკური იყო. მკვლელები ისე ლაღად მოქმედებდნენ და ისეთი გარანტიები ჰქონდათ მიცემული, რომ ზედა ეშელონების მფარველობის გარეშე ასეთი თავხედური ტერაქტის ჩატარება შეუძლებელი იყო. ამ ბოლო დროს გახშირდა განცხადებები, თითქოს ძიება მიყვანილია ბოლომდე და რაღაც დროს ელოდებიან, რომ ეს საქმე საბოლოოდ დასრულდეს.

— რას ელოდებით მოახლოებული არჩევნებისგან და გაქვთ თუ არა გამარჯვების იმედი?

— ძირითადად დავასრულეთ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. და დღესვე მზად ვართ ნებისმიერ არჩევნებში მონაწილეობისთვის. ჩვენ ვიყავით არჩევნების თავის დროზე ჩატარების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი და ამას მივაღწიეთ. მივიღეთ ნორმალური საარჩევნო კანონი, რაც იმედს იძლევა, რომ არჩევნები დროულად და ობიექტურად ჩატარდება, თუმცა, ბოლო დროს, რუსთავში და ვაკეში ჩატარებულმა მაჟორიტარულმა არჩევნებმა აჩვენა იმის სიმპტომები, რომ არჩევნებში იქნება შედეგების დამახინჯების მნიშვნელოვანი მცდელობა, პარტია ამისთვის მზად არის და მაქსიმალურად ვეცდებით ობიექტურობის დაცვას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დღემდე ინარჩუნებს მაღალ რეიტინგს. მზად გვაქვს პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტები — მოწოდება, პარტიის პლატფორმა და სხვა. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ რესპუბლიკის პარლამენტში საკმაო რაოდენობის ადგილებს მოვიპოვებთ.

**სოზარ სუბელიანი**

**პარლამენტი**

# ფინიშისკენ!

## კონსტიტუციის პროექტის განხილვა დასკვნით ფაზაში შევიდა

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის სხდომებზე ივლისის მიწურულს დაწყებული კონსტიტუციის პროექტის განხილვა დასკვნით ფაზაში შევიდა. ქვეყნის ძირითადი კანონის საბოლოო კონტურები უკვე გამოიკვეთა და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის აუცილებელ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს ჩვენი კანონმდებლები, ალბათ, უახლოეს დღეებში საბოლოოდ მიიღებენ.

პროექტის განხილვის დაწყების წინ, არსებობდა ეჭვი, რომ ვერ მოხერხდებოდა მისი მხარდამჭერი ძალების კონსოლიდაცია და მათი ინტერესების „შეჯერება", თუმცა, სადღეისოდ უკვე ნათელია, რომ სახელმწიფოს მეთაურის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საპარლამენტო უმრავლესობის და ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილის პოზიციათა დაახლოება და კონსტიტუციის მისაღებად საჭირო „კონტინგენტის დაკომპლექტება".

მიმდინარე კვირას გადაილახა ერთი დაბრკოლება, რომლის დაუძლევლობის შემთხვევაში შეუძლებელი ჩანდა საბოლოო კონსენსუსის მიღწევა. კერძოდ, საქმე ეხება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას: გადაწყდა, რომ ვინაიდან ამ საკითხზე დღეს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელისუფლების იურისდიქციის გაუვრცელებლობის გამო შეუძლებელია, პროექტის ერთ-ერთ თავში ჩაიწეროს მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიის ცნება, რომელიც დაეყრდნობა მრავალთაგან ერთ-ერთ საერთაშორისო დოკუმენტს საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობის აღიარების შესახებ.

ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ბარიერს, რომელსაც ასევე შეეძლო, ხელი შეეშალა კონსტიტუციის მიღების საბოლოო მხარდაჭერისთვის, წარმოდგინა პროექტის მესამე თავი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის შესახებ. ამ თავის განხილვა, მართლაც, მეტად რთულად წარიმართა და პარლამენტართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. განსაკუთრებით დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა მომავალი პარლამენტის სტრუქტურებზე მსჯელობას. ზოგიერთმა დეპუტატმა გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ შემთანხმებელი ჯგუფის მიერ მომზადებულ ვარიანტში ფიგურირებდა ორპალატიანი პარლამენტის დაკანონების იდეა, რისი აუცილებლობაც საქართველოში, მათი აზრით, დღეს არ არსებობს. „ეს ინსტიტუტი შეიძლება ოთხი წლის შემდეგ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ციკლში ამოქმედდეს. ამიტომ მასზე მსჯელობა დღეს საჭირო არ არის. ამაზე თავი მომავალმა პარლამენტმა უნდა იმტვრიოს", — ასეთი იყო ოპოზიციის გარკვეული ნაწილის კრედო. ასეთი თვალთახედვა პარლამენტმაც გაიზიარა და ამ ეტაპზე კონსტიტუციის ტექსტში ზედა პალატის — სენატის დაფიქსირების პრობლემა მოიხსნა.

„დაჩაგრულმა სენატორებმა" — მაჟორიტარული წესით არჩეულმა დეპუტატებმა — „რევანშის აღება" დეპუტატთა რიცხვის განსაზღვრის დროს სცადეს: მათ მოითხოვეს მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატების რიცხვის გათანაბრება ან, უკიდურეს შემთხვევაში, „პარტიულ პალატაში" არჩეულთა რიცხვის 150-დან 120-მდე შემცირება მაინც. პარტიების უფლებების შეზღუდვას ყველაზე ენერგიულად ლ.ცინდელიანი უჭერდა მხარს. მას ასევე მტკიცედ თანაუგრძნობდნენ სხვა მაჟორიტარები — ბლომხაძე და გაბალაკი. მაგრამ „სენატორთა ციხე" შიგნიდან გატყდა: ვბუზალაძემ, ასევე მაჟორიტარული წესით არჩეულმა დეპუტატმა, „თეთრი ყვავის" როლი შეასრულა, როდესაც დაგმო ეს სისტემა და მომავალი არჩევნების მხოლოდ პროპორციული წესით ჩატარება მოითხოვა. ამას დაემატა ისიც, რომ რესპუბლიკელების ნაწილმა (იშელაშვილი, გბერიშვილი) ზოგიერთი მაჟორიტარის კატეგორიულობაში არჩევნების გადატანის სურვილი დაინახა, „რადგან იციან, რომ არჩევნებში ვერ გავლენ და ახალ პარლამენტში ვერ მოხვდებიან".

ჯ.იოსელიანმა ამ თემაზე კამათი ფილოსოფიურ ასპექტში გადაიტანა — „ძნელი სათქმელია, ინდივიდი უკეთესია თუ კოლექტივი, რადგან ხან ერთი ჯობია, ხან მეორე, ისე კი ყველას სოკრატე გვჯობია"-ო.

სახელმწიფოს მეთაურმა გართულების განმუხტვა შესვენების დროს მაჟორიტარებთან მოთათბირებისას მათი მხრიდან დათმობაზე წასვლის აუცილებლობაში დარწმუნებით შეძლო და ამ საკითხზე კონფლიქტი ამით ამოიწურა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კამათი გამოიწვია აგრეთვე პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკისთვის ხუთპროცენტიანი ბარიერის დაწესების საკითხმაც. ქ.ლარიბაშვილის აზრით, „ასეთი მაღალი ბარიერი მოგვცემს გამსახურდიასდროინდელ პარლამენტს, როცა ბევრი პარტია გარეთ დარჩა და შემდეგ ქვეყანა დაანგრიეს. არჩ.იოსელიანმაც და გ.ჭინჭარაულმაც შეზღუდვის სამი ან მაქსიმუმ ოთხ პროცენტამდე შემცირებას დაუჭირეს მხარი, ხოლო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგენლებმა გამოთქვესვარაუდი, რომ „ასეთი ხელოვნური ბარიერის დაწესების შემთხვევაში პარლამენტში მხოლოდ ის პარტიები მოხვდებიან, რომლებსაც უკანონო გზებით აქვთ ფული ნაშოვნი".

პარლამენტში დეპუტატთა მცირე რიცხვით წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიათა უკმაყოფილება გამოიწვია დ.ბერძენიშვილის წინადადებამაც, რომ არჩევნებში მხარდამჭერთა სიების გარეშე წარსდგნენ ის პარტიები, რომლებსაც ამჟამად პარლამენტში არანაკლებ 4 დეპუტატი ჰყავთ. მართალია, ეს თვალსაზრისი პარლამენტმა არ გაიზიარა, მაგრამ 5-პროცენტიანი ბარიერის დაწესების მოთხოვნას ანგარიში გაეწია და იგი დადასტურდა, რის გამოც ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დეპუტაცია პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვა.

სამაგიეროდ, მოლოდინის წინააღმდეგოდ, დეპუტატები ადვილად შეთანხმდნენ პროექტის იმ ნაწილებზე, რომლებიც პარლამენტარის იმუნიტეტს, მის მიერ თანამდებობრივი საკითხების შეთავსების საკითხებს, აგრეთვე პრეზიდენტის იმპიჩმენტის შემთხვევაში პარლამენტის საკანონმდებლო ინიციატივის წესს შეეხებოდა. ასეთი კომპრომისებით „წახალისებულმა" პარლამენტარებმა გუშინაც „შთაგონებით" იმუშავეს და „მ...რი გაავლეს" „სასამართლო ხელისუფლების" საკითხებს. თუმცა, ზოგიერთმა სირთულემ აქაც იჩინა თავი. მაგალითად, შემთანხმებელი ჯგუფის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტი ითვალისწინებდა ხელისუფლების სამი შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) პარიტეტს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის დაკომპლექტებისას. მართალია, ზოგიერთმა დეპუტატმა მოისურვა შეთანხმების გადასინჯვა ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ, მაგრამ მათი „ეშმაკობა" ადვილად „გაიშიფრა" და საბოლოოდ უპირატესობა მაინც პირვანდელ ვარიანტს მიენიჭა. ამ თავის მიღება ვიცესპიკერმა რ.ბერიძემ ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნია, რადგან, მისი თქმით, „იგი საშუალებას იძლევა გამოვიდეთ საბჭოთა მენტალიტეტიდან და თვისებრივად ახალ, ცივილიზებულ სამართლებრივ სისტემაზე გადავიდეთ".

კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა, რომლის შემდეგად პარლამენტარები, ალბათ, ახალი საარჩევნო კანონის მომზადებაზე გადაერთვებიან.

რიგგარეშე სესიის მორიგი სხდომა დღეს გაიმართება.

**გია მარხანელი**

ვიცეპრემიერ თემურ ბასილიას მოწვევით თბილისში ჩამობრძანდა ცნობილი პოლონელი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე ლეშეკ ბალცეროვიჩი. 1989-1991 წლებში იგი იყო პოლონეთის ფინანსთა მინისტრი და პრემიერმინისტრის მოადგილე. მან შეიმუშავა ეკონომიკური სტაბილიზაციის და ლიბერალიზაციის პროგრამა, რომელმაც სოციალისტური ქვეყანა რადიკალურად აქცია კაპიტალისტურად. პროგრამამ დიდი რეზონანსი გამოიწვია პოლონეთის ეკონომიკის თითქმის ყველა ასპექტში, და ბალცეროვიჩი, რომელიც ამჟამად რეფორმისტულ პარტიას — „თავისუფლების კავშირს" უდგას სათავეში, თავისი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ ფიგურად მიიჩნევენ. მის მიერ შემუშავებულ პროგრამას სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნები ითვალისწინებენ, როგორც სისტემური ტრანსფორმაციის მოდელს. „თავისუფლების კავშირი", რომელსაც ლეშეკ ბალცეროვიჩი ხელმძღვანელობს, დღესდღეობით ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიაა პარლამენტში. „თავისუფლების კავშირი" საკუთარ თავს მიიჩნევს ცენტრისტული ხასიათის არაიდეოლოგიურ ღია ფორმულის მქონე პარტიად, რომელშიც გაერთიანებულნი არიან მრავალნაირი ორიენტაციის ადამიანთა ჯგუფები. პარტიის მთავარი მიზნებია: დემოკრატიის წარმომადგენელთა კონსოლიდაცია და პოლონეთის ინტეგრაცია გაერთიანებულ ევროპასთან. კავშირი პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს აქტიურ სოციალურ პოლიტიკას, აჩერებს რა უმუშევრობის პროცესს კერძო მეწარმეების სტიმულირების ხარჯზე. ბალცეროვიჩი გახლდათ მოთავე პოლონეთის საგარეო ვალის უპრეცედენტო შემცირებისა. ბალცეროვიჩის გეგმამ — „შოკურმა თერაპიამ" და სისტემურმა ცვლილებებმა ისეთი სწრაფი და ძლიერი ზეგავლენა იქონიეს პოლონეთის ეკონომიკაზე, რომ პოლონეთის გამოცდილებას გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი პოსტკომუნისტური ქვეყანა და, მათ შორის, ყოფილი სსრკ-დან წარმოქმნილი სახელმწიფოები. პოლონეთის პროგრამამ დაამარცხა ჰიპერინფლაცია, დაარეგულირა ფასები, აღმოფხვრა მაღაზიებში არსებული საქონლის უკმარისობა, ადგილობრივი ეკონომიკის მისადგომები გაუხსნა საგარეო ბაზარს, ვალუტა კონვერტირებადი გახადა და მოახდინა სახელმწიფო მმართველობის ქვეშ არსებული ვაჭრობისა და ტრანსპორტის საწარმოების უმრავლესობის პრივატიზება. ამასთან, დაიწყო მრეწველობის ფართო პრივატიზება.

პოლონეთის ეკონომიკის რადიკალური სტაბილიზაციის პროგრამის (რომელსაც „ბალცეროვიჩის გეგმას" უწოდებენ) მთავარი არქიტექტორის და აღმასრულებლის საქართველოში სტუმრობა, თავისთავად, დიდი მნიშვნელობის ფაქტია, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ისეთივე პრობლემების წინაშე დგას, როგორიც პოლონეთს რამდენიმე წლის წინ ჰქონდა. ის ფაქტი, რომ პოლონეთმა „შოკის გზით", მაგრამ მაინც რამდენიმე წელიწადში შეძლო, თავი დაეღწია გაჭირვებისთვის, ბუნებრივად იმედს გვისახავს და, ცხადია, ძალიან საინტერესოა, თუ როგორ შეაფასებს ბალცეროვიჩი საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესს. არ არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ პოლონელი ექსპერტი საქართველოს მიმართ რაიმე მიკერძოებულ დამოკიდებულებას გამოიჩენს. ასე რომ, მისი დასკვნები ფრიად საყურადღებო იქნება როგორც პოლიტიკოსებისა და ეკონომისტებისთვის, ასევე მოსახლეობის ფართო ფენებისთვის. როგორც ჩანს, საქართველოში თანდათან დგება ჟამი, როდესაც მოქალაქეები სუფთა პოლიტიკური პრობლემებიდან ყურადღებას თანდათან ეკონომიკაზე და რეფორმების მიმდინარეობაზე გადაიტანენ, ვინაიდან იწყება იმის გაცნობიერების პროცესი, რომ უკან დასახევი გზა აღარ არსებობს და ხსნა მხოლოდ დარჩენილი მონაკვეთის სწრაფად და სწორად დაძლევაშია. პოლონეთი ის ქვეყანაა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ენერგიული, გაბედული და გააზრებული მოქმედებების წყალობით, რამდენიმე წელიწადში მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორება შეიძლება. თუ პოლონეთმა შეძლო, რატომ ვერ უნდა შეძლოს იგივე საქართველომ?!

## ლეშეკ ბალცეროვიჩი:

# «საქართველომ მართებული გზა აირჩია»



— ბატონო ლეშეკ, რა მიზანს ისახავს თქვენი ვიზიტი?

**— საქართველოში ვიცეპრემიერ თემურ ბასილიას მოწვევით ჩამოვედი. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივიღო ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. პოლონეთში კარგად იცნობენ საქართველოს ისტორიას და კულტურას. შეიძლება ითქვას, რომ მეტ-ნაკლებად საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაზეც აქვთ ინფორმაცია.**

— თქვენს ქვეყანაში რეფორმის განხორციელება 1989 წელს დაიწყეთ. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო. როგორ შეაფასებდით აღნიშნულ პერიოდს?

**— მინდა გამოგიტყდეთ, რომ თავდაპირველად ძალიან გაგვიჭირდა. ორი წელი ეკონომიკური დაცემით გამოირჩეოდა. ჰიპერინფლაცია თვეში 30-40 პროცენტს აღწევდა, მაღალი ფასები, მაღაზიებთან არსებული გრძელი რიგები მეტად დრამატულ მაკროეკონომიკურ სიტუაციას ქმნიდა. ამჟამად სურათი მკვეთრად განსხვავებულია — გაუმჯობესდა პოლონური საქონლის ხარისხი და კონკურენტუნარიანობაც შეიძინა. საგარეო ვაჭრობის სფეროში აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ავიღეთ გეზი, ე.ი. რეორიენტაციით შევძელით ვაჭრობის გაფართოება. ამან ეკონომიკურ აღმავლობას შეუწყო ხელი. მცირე საწარმოთა პრივატიზება მთლიანად დასრულდა. მათი 50-60 პროცენტი კერძო მფლობელობაშია. რაც შეეხება მსხვილ საწარმოთა პრივატიზებას, პროცესი ახლაც მიმდინარეობს. მიზეზი პოლონეთში ყველასთვის ცნობილია — პოლიტიკური ბრძოლის ფონზე ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი ანტიპროპაგანდას შეეცადა. მათ, პრივატიზების პროცესის შეჩერებით პოპულარობის მიღწევა სურდათ. ჩვენდა სასიხარულოდ, მიზნის მიღწევა ვერ მოახერხეს, მაგრამ პრივატიზების პროცესი მაინც შენელდა.**

**ჩემს ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობისას ნაწილობრივ მაინც მოვახერხეთ საგარეო ვალების გადახდა. ვიცი, რომ ანალოგიური პრობლემა დღეს საქართველოშიც არსებობს. ვფიქრობ, თქვენც შეძლებთ ამ პრობლემის დადებითად გადაჭრას.**

— რა როლი შეასრულეს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა ეკონომიკური რეფორმების გატარებაში?

**— მათ მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილი ვარ, რადგან რეფორმის განხორციელება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობდა. პოლონეთს არავითარი სავალუტო რეზერვები არ გააჩნდა. პირველი კრედიტი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოგვიყო. გარდა ამისა, ტექნიკური დახმარებაც საკმაოდ დროულად აღმოგვიჩინა. რაც შეეხება საგარეო ვალებს, ეს პრობლემაც სწორედ მათი თანადგომით გადაწყდა — მოვახერხეთ ვალის ნახევრის გადახდა, რაც უდავოდ დიდი მიღწევაა.**

— როგორ შეაფასებდით ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობას საქართველოში?

**— პირველ რიგში, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ პირველი წარმატება. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამასვე აღნიშნავენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები. დღეს შევხვდი სავალუტო ფონდის მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში ჯან იე ვანგს. მან საკმაოდ დადებითად შეაფასა ეკონომიკური სიტუაცია. ფულად-საკრედიტო სფეროში მიღწეული შედეგი ეჭვს აღარ იწვევს. თქვენ შეძელით, ჰიპერინფლაციის შეჩერება.**

**საქართველომ ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მართებული გზა აირჩია. ეკონომიკური რეფორმის გარეშე შეუძლებელია კრიზისის დაძლევა. თქვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა სტაბილურობისკენ, საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციისკენა არის მიმართული.**

ესაუბრა

**დოდო ბოჭორიშვილი**

მინისტრთა კაბინეტთან არსებული ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცენტრი

## პრობლემა

**1994 წლის 24 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება (№ 394), რომლის მიხედვითაც იურიდიულ პირებს აეკრძალათ ურთიერთშორის ნაღდი ანგარიშსწორება და დაწესდა, რომ ყველა სახის გადახდა განხორციელებულიყო ბანკების საშუალებით, უნაღდო ანგარიშსწორებით.**

**ამ დადგენილების არსებობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილებას თან ახლავს იმ დაწესებულებათა ნუსხა, რომელთაც ეს დოკუმენტები უნდა გადაეგზავნოთ, საწარმოების ხელმძღვანელებმა, მეწარმეებმა, რატომღაც, სულ ახლახან, ორი თვის წინ შეიტყვეს.**

**საგადასახადო სამსახურმა დაიწყო საწარმოების შემოწმება: ნაღდი ანგარიშსწორების გამოვლენის შემთხვევაში (რაც ჩვენში არცთუ ისე იშვიათია) გარიგების მონაწილე თითოეული მხარე საერთო თანხის 25 პროცენტით ჯარიმდება. საგადასახადო სამსახური არად აგდებს მეწარმეთა და ბიზნესმენთა არგუმენტირებულ მიზეზებს, რომ ბანკები გაუმართავად მუშაობდნენ, „ეფექტურ" მუშაობაში ბანკებს არც კავშირგაბმულობის სამინისტრო ჩამოუვარდებოდა და სხვა.**

**ბანკების არაეფექტურ მუშაობაზე ყველაზე უკეთ, აბა, ვინ უწყის, თუ არა საგადასახადო სამსახურმა?..**

**ჩვენი გაზეთის ბოლო ნომრებში „გასაიდუმლოებული" დადგენილების მოულოდნელად ამოქმედებით აღშფოთებულმა მეწარმეებმა საკუთარი პოზიცია გამოხატეს ამ მეტად კაბალური „ლონისძიების" მიმართ.**

**ერთი სიტყვით, ვითარება მეტად მძიმეა და სიტუაციის დარეგულირების რაიმე მექანიზმი დროულად თუ არ შემოვიღეთ, აღარც მეწარმე გვეყოლება და აღარც დამქირავებელი...**

**გვესაუბრება საგადასახადო სამსახურის უფროსი დავით სალარიძე.**

— რამდენად გამართლებულია საგადასახადო სამსახურის მიერ მინისტრთა კაბინეტის დადგენილების (№ 394) დაგვიანებით ამოქმედება? ხომ არ გავს ეს ჩასაფრებას?

**— დადგენილება უნაღდო ანგარიშსწორების შესახებ არეგულირებს ერთ მთავარ თემას — ნაღდი ფულის საბანკო მიმოქცევაში გაშვებას. განკარგულების ძირითადი ამოცანაც ამ საკითხის მოწესრიგება გახლავთ. ვითარება მეტად რთულია: სალაროში შესახვედრი თანხა ჯიბიდან ჯიბეში გადადის, ფული არც ანგარიშზეა და არც მიმოქცევაში, ფული მხოლოდ კერძო პირების ხელშია თავმოყრილი. ამიტომაც მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა, რომ გატარდეს გარკვეული სანქციები ამ იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც სალაროს გვერდის ავლით აწარმოებენ ფულად ოპერაციებს. ამ სანქციების გატარება საგადასახადო სამსახურს დაევალა.**

**რაც შეეხება ფაქტს, რომ ამ დადგენილების შესახებ მეწარმეებმა დაგვიანებით შეიტყვეს, მართალია.**

— თქვენი აზრით, რა უნდა ყოფილიყო მინისტრთა კაბინეტის 394-ე დადგენილების „გასაიდუმლოების" მიზეზი?

**— მოგეხსენებათ, დღეს ყველაფერი გართულებულია. მინისტრთა კაბინეტს, რა თქმა უნდა, შესაბამისი სამინისტროებისთვის უნდა ეცნობებინა ამ დადგენილების გამოსვლის თაობაზე და, ალბათ, აცნობა კიდეც, მაგრამ სამინისტროებმა, რატომღაც, ეს დადგენილება ძირეულ რგოლებამდე არ დაიყვანეს. ზემოხსენებული დადგენილების მეწარმეებისთვის გაცნობა საგადასახადო სამსახურს არ ევალება, საგადასახადო სამსახური მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის დადგენილებას ასრულებს. ამიტომ ჩვენი სანქციები სავსებით კანონზომიერია და ის, რომ რომელიმე კონკრეტულმა იურიდიულმა პირმა არაფერი იცოდა ამ დადგენილების ამოქმედებაზე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საგადასახადო სამსახურმა სანქციები არ უნდა გაატაროს.**

— საბანკო სისტემის გამართვამდე უნდა შეჩერდეს ამ დადგენილების მოქმედება?

**— შექმნილი რეალური სურათი რთულია. გაირკვა, რომ მეწარმეებმა, მართლაც, არაფერი იცოდნენ 394-ე დადგენილების ამოქმედების შესახებ, რამაც სანქციების გატარების თვალსაზრისით, მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. მიმაჩნია, რომ ახალი ეროვნული ვალუტის შემოღება ამ საკითხს მთლიანობაში დაარეგულირებს.**

**ეროვნული ვალუტის შემოღების შემდეგ ფულის საბანკო მიმოქცევაში გაშვების მთელი კომპლექსი იქნება შემუშავებული. ეროვნული ვალუტის შემოღების დათქმული დრო მოახლოვდა და ამ პროცესის განხორციელებაც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი.**

**ვინაიდან შემოწმების პროცესს თან დიდი სირთულეები ახლავს, საგადასახადო სამსახურმა იურიდიული პირების მიმართ სანქციების გატარება შეაჩერა, რადგან შემოწმებების ეს სფერო მეტად უხერხულ სიტუაციებს გვიქმნის.**

დავით სალარიძე:

„საგადასახადო სამსახურმა იურიდიული პირების მიმართ სანქციების გატარება შეაჩერა"

— რამდენად შესაძლებელი იყო ერთი წლის წინ ნორმალური საბანკო ოპერაციების წარმოება იურიდიულ პირებს შორის?

**— საგადასახადო ინსპექციას ევალება, რომ სანქციები გაატაროს იმ ბანკების მიმართ, რომლებიც გადარიცხვების დაწესებულ ვადებს არღვევენ. იმ შემთხვევაში, როცა ბანკი ბიუჯეტის თანხების გადარიცხვას დროულად ვერ ახერხებს, საგადასახადო სამსახური ბანკის მიმართ სანქციას ატარებს. თუ იურიდიული პირის თანხის ბიუჯეტში გადმორიცხვა ბანკმა დროულად ვერ მოახერხა, საგადასახადო სამსახური უფლებამოსილია, ასეთი ბანკის მიმართ სანქციები გაატაროს.**

**ვეთანხმებით, რომ ბანკების მიმართ მხოლოდ სანქციების გატარება არაა საკმარისი საბანკო სისტემის დასარეგულირებლად. თავისუფალი ბაზრის პირობებში, როცა იურიდიული პირი უფლებამოსილია, ნებისმიერ ბანკში გახსნას ანგარიში, ბანკი, რომელიც დროულად ვერ აწარმოებს მთელ რიგ საბანკო ოპერაციებს, კონკურენტუუნარო გახდება და თავისთავად გაკოტრდება. ერთი რამ გარდუვალია, კლიენტი ანგარიშს იმ ბანკში გახსნის, რომელიც იაფად მოემსახურება მას და გადარიცხვებსაც ოპერატიულად აწარმოებს. როცა საგადასახადო სამსახური ბანკის მიმართ სანქციებს ატარებს, ის ბანკი თავისთავად ავტორიტეტსაც კარგავს და კლიენტურასაც.**

— გაუმართავი საბანკო სისტემის პირობებში მეწარმე იძულებულია, ნაღდი ანგარიშსწორებით შეიძინოს მისთვის საჭირო მასალა, ხელლეული (ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე ხდებოდა). ნაღდი ფულის დაგროვების რა მექანიზმს შესთავაზებდით მეწარმეს?

**— არსებობს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება ნაღდი ფულის ბანკიდან შეუზღუდავად გამოტანის თაობაზე. მაგრამ ეს ფორმა თავისთავად მოძველებულია. დღეს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, რომ მეწარმეს რაიმეს შესასყიდად ფული ჩანთით დაჰქონდეს.**

**მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაც და საგადასახადო სამსახურის მიერ სანქციების გატარება ფულის საბანკო არხებში მიმოქცევისკენაა მიმართული. ეს მიზანშეწონილია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე — მეწარმისთვის. სადღეისოდ, ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში მეწარმეს უბრალოდ კრედიტ კარტა აქვს და ამ კრედიტ კარტით ახერხებს ფულად ანგარიშსწორებას.**

**დღეს, მოუწესრიგებელი საბანკო სისტემის პირობებში, გასაგებია მეწარმეთა გულისწყრომა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მეწარმემ უნდა მიაგნოს ისეთ ბანკს, რომელიც ოპერატიულად აწარმოებს საბანკო ოპერაციებს და მაღალ დონეზე მოემსახურება მას.**

**დიანა გაბროშვილი**

P.S. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო სამსახურმა შეაჩერა შემოწმებები ნაღდი ანგარიშსწორების გამოვლინების სფეროში, როგორც ამას თავად ბატონი დავით სალარიძე ბრძანებს, საგადასახადო სამსახურის ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მუშაკი ცდილობს შეჩერებული დადგენილების პირადი ინტერესების „სასიკეთოდ" „ამოქმედებას".

ბოლო ხანს არაერთგზის მომხდარა, როცა საგადასახადო სამსახურის ზოგიერთი ჩინოვნიკი საინფორმაციო სამსახურების წარმომადგენელთა გამოჩენისას თავქუდმოგლეჯილი გარბის მისივე „აწიოკებული" ობიექტიდან.

თუ მინისტრთა კაბინეტი კეთილ ნებას გამოიჩენს და ამ დადგენილებას გადახედავს, ორჭოფულ მდგომარეობას ბოლო მოეღება, რაც მეწარმეებს არაკეთილსინდისიერი შემმოწმებლებისგან დაიცავს.

# დუმილი დამღუპველი ხდება

13-15 ივლისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბატონი ედუარდ შევარდნაძისა და იუნესკოს გენერალური დირექტორის ბატონი ფედერიკო მაიორის მეურვეობით თბილისში გაიმართა საერთაშორისო ფორუმი — „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისთვის, აგრესიულობისა და შეურიგებლობის დასაძლევად“.

ფორუმში მონაწილეობისთვის ჩვენს ქვეყანას ეწვია მსოფლიოს კულტურისა და მეცნიერების 150-ზე მეტი ცნობილი წარმომადგენელი. ეს იყო გამოხატულება სახელმწიფოებრიობის შენების პროცესში მყოფი ჩვენი ქვეყნის მიმართ ნდობისა და თანადგომისა, ქართული კულტურის დაფასებისა, საქართველოში მომხდარი ძვრების აღიარებისა და მხარდაჭერისა.

ფორუმის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ დესტრუქციულ ძალებსაც. სწორედ ამიტომ ფორუმის სულისჩამდგმელი ბატონი სოლიკო ხაბეიშვილი ძალადობის მსხვერპლი შეიქნა.

და მაინც, ფორუმი შედგა, ისიც გადაწყდა, რომ კულტურათა დიალოგი ტრადიციად დამკვიდრდება და გაიმართება თბილისში ორ-სამ წელიწადში ერთხელ.

კანონზომიერია, რომ საქართველოში შედგა კულტურათა დიალოგი შეურიგებლობის დასაძლევად. საქართველო მსხვერპლია აგრესიისა. ამასთანავე საქართველოს ტოლერანტობის დიდი ტრადიცია აქვს. თუ შესაძლებელია ერის ერთ გამორჩეულ თვისება საუბარი, ქართველთათვის ეს იქნება შემწყნარებლობა. საქართველოში მრავლად არიან ეროვნული უმცირესობანი. არიან იმიტომ, რომ მათ საუკუნეთა განმავლობაში გაეძლებოდათ საქართველოში. უმეტეს შემთხვევაში ესენი არიან ხიზნები, ლტოლვილები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოერიდნენ დევნას, ეთნიკურ წმენდას, გენოციდს. საქართველოს ბევრი დევნილი შემოეხიზნა ნაბუქოდონოსორის მიერ სოლომონის ტაძრის დამხობისა და ებრაელთა გამოძევების დროიდან მოკიდებული ჩვენი საუკუნის დასაწყისში სომეხთა გენოციდის ჩათვლით. ჩვენს ქვეყანაში პოულობდნენ ისინი თავშესაფარს, სითბოს, სიყვარულს. საქართველოს არასდროს არავითარი პრობლემა არ შეუქმნია არც ლტოლვილთათვის და არც იმათთვის, ვინც ტოტალიტარული მმართველობის ძალისხმევით დემოგრაფიული სურათის შეცვლის მიზნით ჩამოასახლეს ჩვენს ქვეყანაში.

ქართულ ყოფაში მრავლადაა ტოლერანტობის უიშვიათესი მაგალითები. სპარსთა აგრესიის დროს ქრისტეს სჯულისთვის წამებულ სპარსელს „ევსტათი ქართველად“ მოიხსენიებენ ძველი ქართული ძეგლები; არაბთა ბატონობის დროს წამებულ არაბ ჭაბუკს კი — „აბო ისმაიტელყოფილ ქართველად“. შემწყნარებლობის კიდევ ერთი გამოსარჩევი მაგალითი: რამდენიმე ათეული წელი გადის არაბთა ოთხსაუკუნოვანი უღლის გადაგდებიდან და იწერება „ვეფხისტყაოსანი“. მასში იხატება არაბთა მეფის დიდებული კარი და ავტორის მსოფლმხედველობრივი მრწამსის გამომხატველი გმირი, რუსთაველის alter ego არაბი ჭაბუკია. პოემის იდეალური გმირები მურვან ყრუს მოდგმისანი არიან, სწორედ იმ, ულმობელი მურვან ყრუსი, რომელსაც ყურს კი არ აკლდა, ქართველთა ტანჯვის შეუსმენლობის გამო შეარქვეს „ყრუ“. არაბია თინათინიც. ლიტერატურული პირობითობით ვერ ახსნი ამას. ქართველთა საოცარი ტოლერანტობის დასტურია ეს. და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ეგებ ის იყოს, რომ არც ერთ ქართველს არასდროს არ მიუჩნევია „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა არაბობა უჩვეულო და გასაკვირ ფაქტად.

ძველ თბილისში ერთმანეთის მორიახლო მდგარი მართლმადიდებელთა, გრიგორიანელთა, მაჰმადიანთა და იუდეველთა სალოცავები უცხოელთ აკვირვებს, თორემ ქართველებს გვეთოთირება კიდევ ამაზე ყურადღების გამახვილება.

არ შეიძლება შემწყნარებელი იყო იმიტომ, რომ ტოლერანტობა კარგ თვისებად მიიჩნევა. ერი, როცა თავისი ტოლერანტობით იმდენად გამოირჩევა, რომ, ლამის მსოფლიოში ერთადერთია ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ანტისემიტიზმის შემზარავი სენი არ შეჰყრია, — ამ ერის ცხოვრების წესში რაღაც ღრმა საფუძველი უნდა ჰქონოდა სხვა ერთა შეთვისებასა და გატანას. საფუძველი ყოველთვის ყველაფერს აქვს. ეს საფუძველი ჩვენი ერის მიერ განვლილი კულტურული ცხოვრების გზაა.

ბიბლიის პირველსავე წიგნში მოსე წინასწარმეტყველი გვაუწყებს, რომ ადამიანები გოდოლს აშენებდნენ, ქვას ქვაზე აწყობდნენ, რათა ზეცას შესწვდომოდნენ. ისინი მატერიალური გზით აპირებდნენ ღმერთთან მიახლოებას. ამ ადამიანებს ერთი ენა ჰქონდათ, მაგრამ ერთმანეთის არ ესმოდათ. სულიერი საერთო ვერ გამონახეს და იმიტომ. მათ არ ესმოდათ, რომ ყოველ მათგანს საკუთარ სულში უნდა აღემართა გოდოლი. მაშინ ერთმანეთსაც გაუგებდნენ, თავსაც შეიცნობდნენ და ღმერთსაც მიუახლოვდებოდნენ. გოდოლი დაინგრა. და იწყეს ადამიანებმა სხვადასხვა ენებზე ლაპარაკი. მას აქეთ ბაბილონის გოდოლი არეულობის, აშლილობის სიმბოლოდ იქცა.

ფორუმზე 50 ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ. ჩვენც სხვადასხვა ენებზე ვსაუბრობდით, მაგრამ ერთმანეთის გვესმოდა. გვესმოდა არა იმიტომ, რომ თარჯიმნები გვეხმარებოდნენ. ჩვენს საუბარს საერთო სულიერი საფუძველი ჰქონდა. ეს იყო კულტურა. კულტურა სულიერებაა. სულიერების გარეშე არ არსებობს კულტურა. აგრესია არის კაცობრიობის ჰარმონიული განვითარებიდან გადახვევა, წინსვლის შეფერხება, სულიერების განადგურება, უკულტურობა. და რამ უნდა დაძლიოს ძალადობა, თუ არა კულტურათა დიალოგმა, ურთიერთგაგებამ.

საქართველოში შედგა ეს დიალოგი.

ჩვენს ქვეყანას ასეთი დიალოგის დიდი გამოცდილება და დიდი ტრადიცია აქვს. ქრისტეს სჯულზე მოქცევის დროიდან ქართველი ხალხი კულტურათა დიალოგს აწარმოებდა მთელი კულტურული მსოფლიოს მასშტაბით. ჩვენს წინაპრებს სამონასტრო კერები ჰქონდათ პალესტინაში, სირიაში — სინას მთაზე, შავ მთაზე — არაბეთის ნახევარკუნძულზე, საბერძნეთში, ბულგარეთში... იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, საბაწმინდის ლავრა, ივერთა მონასტერი ათონის მთაზე, მონასტრები კონსტანტინეპოლში, კვიპროსზე, პეტრიწონში — ეს ბერმონაზონთა განმარტოების ადგილები კი არ იყო მხოლოდ. ეს იყო კულტურისა და განათლების კერები. ამ მონასტრებში მოღვაწე ქართველები მსოფლიოს ღვთისმეტყველური, ფილოსოფიური, ლიტერატურული აზრის კორიფეებს თარგმნიდნენ, კომენტარებს ურთავდნენ, საკუთარ თხზულებებს ქმნიდნენ და კულტურულ ხალხთა ენებზე თარგმნიდნენ. ამ კერებს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ იმ ქვეყნების კულტურასთანაც, ერთმანეთთანაც და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კერებთანაც. ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულების დასრულების უმალ ხელნაწერის პირს ერთმანეთსაც უგზავნიდნენ ეს კერები და გზავნიდნენ საქართველოშიც. იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, დიონისე არეოპაგელის, პროკლე დიადოხოსის, მაქსიმე აღმსარებლის, იოანე დამასკელის, ეფრემ ასურისა და სხვათა ნააზრევით საზრდოობდა ქართული კულტურა. გახსნილი იყო ჩვენი ქვეყანა კულტურული დიალოგისთვის. მიმდინარეობდა კიდევ ინტენსიური დიალოგი მთელ კულტურულ სამყაროსთან. ბევრი შედევრი ბიზანტიური კულტურისა მხოლოდ ქართულმა თარგმანმა შემოუნახა მსოფლიოს. კულტურულ ურთიერთობათა პროცესს პოლიტიკური ბარიერები არ ჰქონდა საქართველოში. სპარსთა აგრესიის წინააღმდეგ ვიბრძოდით და თან ფირდოუსის, ნიზამის, ჯამის, საადის, ჰაფეზის შედევრებს ვთარგმნიდით.

სამონასტრო კერები იმხანად დღევანდელი სკოლის ფუნქციასაც ასრულებდა, უმაღლესისაც და სამეცნიერო-საკვლევი ცენტრებისასაც. ეს დაახლოებით იმის ფარდია, დღეს რომ ოქსფორდში, კემბრიჯში, სორბონაში, ჰარვარდში, გეტინგენსა თუ ჰაიდელბერგში ქართველებს სამეცნიერო კერები გვქონდეს და გაგვქონდ-გამოგვქონდეს აქაური და იქაური სამეცნიერო კვლევისა და მხატვრული შემოქმედების მონაპოვარი.

სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი იყო კულტურის მოამაგეთა მომზადება. გიორგი მთაწმინდელმა ოთხმოცი ობოლი ბიჭი წაიყვანა ბიზანტიის კერებში განათლების მისაღებად და ქართული კულტურის მსახურებად აქცია; დავით აღმაშენებელმა ორმოცი ბავშვი გაგზავნა უცხოეთის კერებში.

საქართველო ბურჯად იდგა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყაროთა მიჯნაზე. თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განსაკუთრებულ მისიას აკისრებდა ჩვენს ქვეყანას. ფეოდალური კარჩაკეტილობის ჟამს პატარა საქართველო ახერხებდა ფართო კულტურული ურთიერთობების წარმართვას. გლობალური კულტურის რიტმი, გლობალური კულტურის სუნთქვა აღწევდა საქართველოში და ჩვენი კულტურის პულსს ერწყმოდა. გლობალურ განზომილებებში ხედავდნენ ჩვენი წინაპრები როლს ქართული კულტურისას. პატარა იყო ქვეყანა, მაგრამ დიდი და მნიშვნელოვანი იყო მისი კულტურული მისია. პოლიტიკურ ძალთა გზაჯვარედინზეც იყო ჩვენი ქვეყანა, კულტურულ პროცესთა გზაჯვარედინზეც და სავაჭრო გზაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ჩვენს მიწაზე გადიოდა. ყველაფერს ამას თავს ართმევდა ქვეყანა, ერი შემეცნებითი და ზნეობრივ-ეთიკური იდეალებით ცხოვრობდა. ფუნდამენტური პრობლემები იდგა მის წინაშე. ქრისტიანული ღვთისმეტყველება, ეთიკა, ესთეტიკა აუწყებდა ქართველს, რომ სიკეთეა არსი სამყაროსი, რომ მშვენიერებაა ის, რაც სიკეთეა, რომ ბოროტებას არსი არა აქვს, რომ ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი საკუთარი პიროვნული სრულყოფით უნდა თანამზრახველად და შემწედ ექმნეს სამყაროს შემოქმედს, რომ ადამიანის დანიშნულებაა საკუთარი ზნეობრივი და გონებრივი ამაღლებით მონაწილე გახდეს კოსმიური შემოქმედებითი პროცესისა.

თავისი მისიის ასე დამნახავი ერი სხვა ერებსაც პატივს მიაგებდა, ყოველი ერის უნიკალურ დანიშნულებას ხედავდა, სხვა რელიგიათა აღმსარებელნიც ღვთის შვილებად მიაჩნდა. ამიტომ შეეძლო „გალობანი სინანულისანის“ ავტორს, არაბთა ბატონობის დამამხობელს, დავით აღმაშენებელს „ყურანი“ ეკითხა და მაჰმადიანი პოეტები შეეფარებინა თავის კარზე.

ტოლერანტობას ღრმა მსოფლმხედველობრივი საფუძველი ჰქონდა ქართველთა ცნობიერებაში.

ისტორიულმა ძვრებმა მძიმე შედეგები მოიყოლა. ბიზანტიის დაცემამ და მონღოლთა შემოსევამ ქრისტიანობის ბურჯად დგომის ფუნქცია მოუშალა ქართველ ერს. გამოხდა ხანი და ერთმორწმუნეობის ნიშნით მან ძლიერ მართლმადიდებლურ ქვეყანას — რუსეთს მიაპყრო მზერა.

ვიდრე უცხო რჯულის დამპყრობლებს უმკლავდებოდნენ ქართველები, არსებობისთვის ბრძოლა ქრისტიანული იდეალებისთვის ღვაწლსაც ნიშნავდა. ეს ერს ზნეობრივად აწრთობდა და მიძინების საშუალებას არ აძლევდა. ქართველთა ცხოვრების წესი საუკუნეთა მანძილზე იყო რწმენის ერთგულება, ჭეშმარიტებისკენ, სულიერი ფასეულობებისკენ სწრაფვა, ქრისტიანული ზნეობრივი იდეალების დამკვიდრება შრომით, ბრძოლით, შემოქმედებით. ქრისტიანულ იდეალებზე ამაღლებული კი კაცობრიობას არაფერი შეუქმნია.

ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობას მოჰყვა ის, რომ მართლმადიდებლობამ დაკარგა იდეოლოგიური ოპოზიციური ფუნქცია. სულიერი ცხოვრების გააქტიურების ნაცვლად თავი მივეცით რელიგიურ ინდიფერენტიზმს, რაც კიდევ უფრო გაალვივა რუსეთში ათეისტური და მატერიალისტური მსოფლმხედველობის მომძლავრებამ. ამას გარდა თვით რუსეთში ჯერ კიდევ მეფის დროიდან იმპერიის ძალმოსილების იდეამ წალეკა პიროვნების თავისუფლებისა და ყოველი პიროვნების განსაკუთრებულობის ქრისტიანული იდეა. ჩვენ შინაგანად ვერ გავუძალიანდით ამ პროცესებს. პირიქით, დიდი გატაცებით აჰყევით კიდეც. ჩვენი ხელით დავანგრიეთ ჩვენივე ეკლესიებიც და დავკარგეთ ქრისტიანულ ზნეობაზე დაფუძნებული სახე ქართველისა.

ყოველივე ეს ტოტალიტარული წყობით დაგვირგვინდა. პიროვნების განადგურების პროცესი წარმატებით გაგრძელდა.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ დაგვმართოდა ის, რაც დაგვემართა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ნაციონალიზმს შევაფარეთ თავი და კულტურული სამყაროსგან იზოლირებაში ვეძიეთ ხსნა.

სიტყვა „თავისუფალის“ შემოქმედმა ერმა მივივიწყეთ, რომ თვითშემეცნება, საკუთარი თავის მეუფე ადამიანის დამკვიდრება გვმართებდა და მხოლოდ მაშინ შევძლებდით თავისუფალ პიროვნებათა თანაცხოვრების სისტემის — დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას.

ჩვენ მონობა ვამჯობინეთ. „მტერს“ დავაბრალეთ ყველაფერი და „ბელადს“ გადავაბარეთ ის, რაც საკუთარი თავისთვის უნდა მოგვეთხოვა. „მტრის ხატი“ ტოტალიტარული სისტემის აუცილებელი ატრიბუტია და პიროვნული პასუხისმგებლობის მოხსნას უწყობს ხელს. მტერი იმის მტერია, რომ გიმტროს. თავად არ უნდა უმტრო საკუთარ თავს, გონივრულად უნდა გაუმკლავდე მტრობას. ჩვენი წინაპრები ალღოს უღებდნენ მტრის მზაკვრობას. ხან ხმალი ეჭირათ ხელში, ხან ჩალმა ეხურათ. მტრის ლანძღვითა და მკერდში მჯიღის ცემით მოპოვებული იაფ ფასიანი პოპულარობით არ იხიბლებოდნენ დღევანდელი ჩვენი პ[illegible] ბივით.

დავით გურამიშვილი „თურქს, სპარსს, ლეკს, ოსს, ჩერქეზ-ღლიღვსა და დიდო-ქისტს“ კი არ ადანაშაულებდა საქართველოს გასაჭირის გამო, არამედ თანამოძმეებს ამტყუნებდა გაუტანლობის, სულიერი დაკნინების, ღვთის მცნების მივიწყების გამო.

XIX საუკუნეში ილიამ ამცნო თავის ხალხს, რომ კმარა ძილი. ვერ გამოვფხიზლდით. XX საუკუნეში კიდევ უფრო ღრმად ჩავიძინეთ. ერის ძილის გამო პასუხისმგებლობა ინტელიგენციას უნდა ეკისრა. ერის გამოფხიზლება ვერ მოხერხდა, თუმცა ილია გვახსოვდა და სარკე, რომელშიც მან ლუარსაბი ჩაახედა, წინ გვედგა. იმ სარკეში ჩვენც ვჩანდით.

მამარდაშვილი მარტო აღმოჩნდა.

დღეს უკვე აღარ შეიძლება დუმილი, აღარ შეიძლება შევეგუოთ მომავალი არჩევნების წინ კომუნისტური ფუნდამენტალიზმის გამო ნოსტალგიას და პოლიტიკის კრიმინალიზაციას. საქართველო არჩევნების კი არა, საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას.

არადა, ვისაც თვალი აქვს, არ შეიძლება არ ხედავდეს, რომ ბევრად მეტი ნდობა გამოგვიცხადა მსოფლიომ, ვიდრე ბოლოდროინდელი ჩვენი ყოფით მოვიპოვეთ. გლობალური მასშტაბის პოლიტიკურ ძვრებში ედუარდ შევარდნაძის მიერ დამსახურებული ავტორიტეტი მთელ მის ერზე გავრცელდა. მოვიდა ნდობა, აღიარებათა კასკადი, დახმარება, კრედიტები, პროექტები... სახელმწიფოს შენებისა და ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის დაფუძნების პროცესი წინ მიიწევს. მაგრამ ეს ხომ განწირულებას უქადის პოლიტიკანებსა და კრიმინალურ სამყაროს. და ისევ ნიაღვარი ბრალდებებისა, ცილისწამებებისა.

დუმილი დამღუპველი ხდება.

ქართული დიპლო[illegible] ქართული პოლიტიკა ახალ [illegible] პროცესებში პატარა ქვეყნის ჩართვას ცდილობს. ყველაფერი კეთდება ამისთვის. თანამეგობრობის სივრცეში საქართველოს შესაძლო როლი დასავლეთის პოლიტიკოსებმაც აღნიშნეს; შავი ზღვის ქვეყნებთან ინტენსიური ურთიერთობა, თანამშრომლობა გაეროსთან, ევროკავშირთან, ურთიერთობათა გაბმა აღმოსავლეთ-დასავლეთის ქვეყნებთან, სავაჭრო-სატრანზიტო გზების აღდგენისთვის ზრუნვა და კიდევ ბევრი სხვა რამ. და ახლა ყოველივე ამას დაემატა კულტურათა დიალოგის აღდგენა. დაფუძნება ან დაწყება კი არა — აღდგენა. ეს დიალოგი ისტორიული ბედუკუღმართობითა და ჩვენი უზერგილობით შეგვინელდა, შეგვიწყდა კიდეც. კულტურულ სამყაროსთან დიალოგი რომ არ შეგვეფერხებოდა, არც ამდენი ძალისხმევა გახდებოდა საჭირო ინფორმაციული ომის მოსაგებად და ბუდაპეშტის რეზოლუციამდე მისასვლელად; რუსული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებიც უკეთ გაერკვეოდნენ პრობლემის არსში და ეგებ ვერც პოლიტიკური კონფლიქტების ეთნიკონფლიქტებად გადაზრდა მოხერხებულიყო.

სულიერ ფასეულობათა დევალვაცია რომ არა, ჩვენ ბევრ უბედურებას ავიცილებდით.

ჩვენი მამა-პაპანი, ერის თავკაცები უმთავრეს რჩევად გვთავაზობდნენ ხოლმე სულიერ აღორძინებას, სიკეთის დამკვიდრებას, ზნეობრივ ამაღლებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ისე წარმართვას, რომ, რაც სასარგებლოა პიროვნების სრულყოფისთვის, სამართლიანი იყოს პიროვნებათა თანაცხ[illegible]რებისთვის, სამოქალაქო სა[illegible]დოებისთვის.

საქართველოში გამარ[illegible] კულტურათა დიალოგმა თა[illegible] ვრების სულიერი საფუძვლ[illegible] თანამედროვე ფორმებით მ[illegible] შესთავაზა დღევანდელ მს[illegible]

მანანა ბიბინე[illegible]

# პროკურატურა-ერთი ყველას წინააღმდეგ?!

## (ისევ ჭოველიძისა და კავთელიშვილის საქმეების გამო)

ლია ჭოველიძის მკვლელობისა და პოლიციის პოლკოვნიკ გელა კავთელიშვილის დაკავების საქმე კვლავ საზოგადოების ცხოველ ინტერესს იწვევს. ამასთან დაკავშირებით, 15 აგვისტოს ჟურნალისტთა სახლში მოეწყო პრესკონფერენცია, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად მშფოთვა[illegible] ჩაიარა. პრესკონფერენციაზე მოწვეული გენერალური პროკურორის მოადგილის, ბატონ რევაზ (სოსო) ყიფიანის გამოსვლა ძალიან თავშეკავე[illegible] იყო. „მე ყველაფერს ვიტყვი, მაგრამ არაფერს ვიტყვი, რადგან საქმე საწყის სტადიაშია და სათქმელიც ჯერ არაფერი არ არის", — ასეთი განცხადებით დაიწყო გამოსვლა ბატონმა რევაზმა. იგი ყველანაირად ცდილობდა, რომ საუბარი ლია ჭოველიძის მკვლელობის საქმეს არ შეხებოდა. „მე ვიცნობ ამ საქმეს, მაგრამ აქ ამაზე არაა საუბარი, საქმე შეეხება იმას, რომ ძიება ცემით და კანონის დარღვევით არ შეიძლება. რაც შეეხება კავთელიშვილს, წაყენებული რამდენიმე ბრალდებიდან მან ერთ-ერთი უკვე აღიარა — მას შემდეგ, რაც პროკურატურამ მოსთხოვა ექვმიტანილთა გათავისუფლება, კავთელიშვილმა საკნის გასაღები გაიტაცა და ეჭვმიტანილები კიდევ სამი დღე ჰყავდა უკანონოდ დაკავებული. ეს არ არის შეცდომა, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული და 2-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს", — თქვა გენერალური პროკურორის მოადგილემ და იქვე დაუმატა, — ნურავინ ეცდება პროკურატურისა და პოლიციის დაპირისპირებას, მაინც არაფერი გამოუვათო.

რევაზ ყიფიანისაგან განსხვავებით, თბილისის პოლიციის უფროსის, ბატონ დემურ მიქაძის გამოსვლა ბევრად უფრო შემტევი ხასიათის იყო. „კავთელიშვილი არ არის სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკი — განაცხადა ბატონმა დემურ მიქაძემ, — მაგრამ, რადგან ინფორმაცია მან მოიპოვა, საქმის ძიებაც მანვე განაგრძო. ინფორმაციას გავეცანით ჩვენ და ქალაქის პროკურატურა და 3 მარტს ეჭვმიტანილები ავიყვანეთ. 4 მარტს ჩატარდა კომბინირებული დაკითხვა, რასაც ვესწრებოდით მე, ქალაქის პროკურორი, ადვოკატები, თვითონ გელა კავთელიშვილი და სხვები. აღიარება იმ დღესვე მივიღეთ, რაიმე ფიზიკურ ზემოქმედებაზე ლაპარაკი ზედმეტია, დაკითხვა გადაღებულია ვიდეოფირზე, ბრალიც მაშინვე წარედგინათ. მე თვითონ მკვლელობის მოხდენის ფაქტიდან 20 წუთის შემდეგ იმ ბინაში ვიყავი და 2 დღე არც გამოვსულვარ გარეთ, ამიტომ კარგად ვიცი, იქ რაც ხდებოდა. აღიარებისას ისეთ დეტალებზე იყო საუბარი, რომლებიც შეუძლებელია გარეშე პირს სცოდნოდა. თუ ამ საქმეზე კავთელიშვილი დასაკავებელია, მაშინ კიდევ 15 კაცი უნდა გავისტუმროთ ციხეში, მათ შორის პროკურატურის რამდენიმე თანამშრომელი", — თქვა ბატონმა დემურ მიქაძემ და ბატონ რევაზ ყიფიანისგან განსხვავებით, საქმის მიმდინარეობაში პოლიციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია დაინახა: „კავთელიშვილი პროფესიონალი, თავდადებული კაცია, აფხაზეთში დაიჭრა, მას ვერავინ მოქონავდა, არაფერი ისეთი არ ჩაუდენია, რომ პატიება არ შეიძლებოდეს, ამ კაცის ციხეში გადაყვანა მის გაწირვას ნიშნავს, ეტყობა ვიღაც სხვასაც უმიზნებენ, მე კი საზარბაზნე ხორცად ვერავინ გამომიყენებსო", — ასე ჩამოაყალიბა თავისი აზრები ბატონმა დემურმა და პროკურატურას უსაყვედურა: „ერთხელ გადაგვიცდა ფეხი და თუ ისიც არ გვაპატია თქვენმა პროკურატურამ, მაშინ ჩვენს მუშაობას ფასი არ ჰქონია".

ბატონი დემურის საყვედური ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასაც არ ასცდა — „ერთხელ მაინც დაიცავით პოლიციის უფლებებიო" და ისევ პროკურატურას მიუბრუნდა — კავთელიშვილმა ეჭვმიტანილთა დაკავების მეოთხე დღეს მოიძია დანა, რომლითაც მკვლელობა მოხდა, პროკურატურამ კი ექსპერტიზა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ჩაატარაო და მოითხოვა სანქციის გამცემი პროკურორიც დაეკავებინათ.

პატიმართა წამებასთან დაკავშირებით სხვების დაკავების შესაძლებლობა ბატონ რევაზ ყიფიანს არ გამორიცხავს, ოღონდ ვის როდის დავაკავებთ, ეს პროკურატურის საქმეაო, — სანქციის გამცემი პროკურორის დაკავების შესაძლებლობა კი უარყო: „აღიარების მიღების შემდეგ მას სანქცია უნდა გაეცა, ოღონდ შემდეგში ნივთმტკიცებების უქონლობის გამო, მოვალე იყო ეჭვმიტანილები გაეშვა".

პრესკონფერენციაზე დასმული მრავალი კითხვა უპასუხოდ დარჩა. ერთ-ერთი ჟურნალისტის დაინტერესებაც — ეჭვმიტანილ თამრიკო ხიდაშელის მამა — ჯუმბერ ხიდაშელი და ქალაქის პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე ძველი მეგობრები არიან და ამან ხომ არ იმოქმედა ეჭვმიტანილთა განთავისუფლებასა და კავთელიშვილის დაკავებაზეო, — ვერავინ დააკმაყოფილა. ბატონმა რევაზ ყიფიანმა უარყო საქმის გამოსაძიებლად სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ერთობლივი კომისიის შექმნის შესაძლებლობა, რასაც მოშიმშილე დაკავებულები — გელა კავთელიშვილი და გია კიკაჩეიშვილი ითხოვენ, — კანონი ასეთ რამეს არ ითვალისწინებს.

პრესკონფერენციაზე აშკარა იყო, რომ მას მედია პოლიციას უთანაგრძნობდა. თუკი სხვა დროს ჟურნალისტების უპირველესი მოთხოვნა პატიმართა უფლებების დაცვა და პოლიციის თვითნებობის აღკვეთაა ამჯერად, მიუხედავად პოლკოვნიკ გელა კავთელიშვილის მიერ ძალაუფლების გადამეტების ფაქტისა, მასმედია ამ უკანასკნელს უჭერდა მხარს. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა სიტუაცია ასე შეაფასა: „პროკურატურა — ერთი ყველას წინააღმდეგ", თუმცა მას-მედიის მხრიდან პროკურატურასაც გამოუჩნდა დამცველ: ჟურნალისტ გუბაზ მეგრელიძისა და პოლიციის შეფ დემურ მიქაძის სიტყვიერი კონფლიქტი კინაღამ ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ჟურნალისტები თავიდანვე აქტიურად აშუქებდნენ ამ ბურუსით მოცულ საქმეს და, როგორც ჩანს, მათ ხელში არსებული ინფორმაცია მასმედიას ამჯერად პოლიციის მხარდაჭერისკენ განაწყობს. ჟურნალისტებმა შეაგროვეს ხელმოწერები კავთელიშვილისა და კიკაჩეიშვილის თავდებით გათავისუფლების მოთხოვნით, იმ იმედით, რომ მათი თავისუფლება ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

**სოზარ სუბელიანი**

# არ მიპოვნია, მომიპარავს — ახლა ჩემია...

## ზღვარსგადასული თავხედობის, ყვითელი ტაქსის და ულტიმატუმის ამბავი

**ტაქსის მძღოლი მურთაზ სმოიანი სააქციო საზოგადოება „11X11"-ის თანამშრომელია. როგორც ყოველთვის, 14 აგვისტოს ავტომანქანა გარაჟიდან გაიყვანა და სამუშაო დღეც ჩვეულებრივად დაიწყო.**

**დაახლოებით 19.30 საათზე თბილისში სასტუმრო „ივერიის" მახლობლად ახალგაზრდა ქალბატონმა ტაქსი გააჩერა. მგზავრი გორის რაიონის სოფელ ფლავში მიდიოდა. მძღოლი და ქალბატონი შეთანხმდნენ და ავტომანქანამ გეზი გორისკენ აიღო. სოფელში ჩავიდნენ, მგზავრმა ფული გადაიხადა და ტაქსის მძღოლის ჩვეულებრივი სამუშაო დღე, ამ წუთიდან, უჩვეულოდ ცუდად გაგრძელდა.**

**თბილისისკენ მომავალი ტაქსი სოფელს არ იყო გამოცდენილი, პოლიციის სახიფათო მოწყობილობით აღჭურვილი ავტომანქანა რომ შენიშნა. სმოიანს გაჩერება უბრძანეს. უფროსი ლეიტენანტის ფორმაში გამოწყობილმა, ავტომატური იარაღით შეიარაღებულმა პირმა საბუთების წარდგენა სთხოვა. პოლიციელის მანქანაში კიდევ ორი ახალგაზრდა იჯდა. პოლიციელმა, ნარკოტიკული ნავთიერებების [illegible]ძებნის მოტივით, ტაქსის სალონი და საბ[illegible]ლი გაჩხრიკა. უფროსმა ლეიტენ[illegible] [illegible] ხაეჭვო რომ ვერაფერი ნახა, [illegible] [illegible]ძღოლს „მალარიჩის" სახით 50[illegible] [illegible]უსული რუბლი მოსთხოვა.**

**[illegible]აზ სმოიანმა 20000 რუბლი [illegible] [illegible] ივაჭრეს და 40000-ზე შეთანხმ[illegible] [illegible]ოლი მანქანაში ჩასვეს. ერთ-ერთი [illegible] პოლიციელის თანხლებმა ახალგაზრდამ, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, მურთაზ სმოიანს საფულე და საბუთები წაართვა. პოლიციელის ფორმიაში ტაქსის საჭეს მიუჯდა, ტაქსის მძღოლი მანქანიდან გადმოაგდეს და ავტომობილი გაიტაცეს. გამტაცებლები ისხდნენ გაზ 2106 მარკის ლურჯი ფერის ავტომობილში. მურთაზ სმოიანს ნომრის სერია არ ახსოვს, მაგრამ ციფრები კარგად დაამახსოვრდა 92-47.**

**მძღოლი სოფელში დაბრუნდა. ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც თბილისიდან ჩამოიყვანა ვერ იპოვნა და ვერც მისი მნახველი აღმოაჩინა ვინმე. ვიღაც ღვთისნიერმა ტაქსის მძღოლი გორის პოლიციის სამმართველომდე მიიყვანა. უკვე ღამის 12 საათი სრულდებოდა. მორიგე პოლიციელმა მომხდარი ფაქტის შესახებ განყოფილების უფროსს აცნობა, რომელიც 6.30 საათზე სამსახურში გამოცხადდა. დანაშაულის ფაქტი დაფიქსირდა. დაზარალებული ორი პოლიციელის თანხლებით ცხინვალისკენ გაემგზავრა. ქართველ პოლიციელთა საგუშაგოებზე გატაცებული მანქანის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. რუსეთის სამშვიდობო ძალების საგუშაგოზე პატრულებმა გაიხსენეს ყვითელი ფერის ტაქსი და ლურჯი ჟიგული, რომლებიც დაახლოებით 24.00 საათზე მიადგნენ ქალაქის შესასვლელს. გაიხსენეს უფროსი ლეიტენანტიც, რომელიც ტაქსის საჭესთან იჯდა და პატრულებმა გაატარეს, ლურჯი ჟიგული კი უკან გააბრუნეს კომენდანტის საათის წესების თანახმად.**

**გატაცებული ავტომანქანის მძიებლებმა ეგრეთწოდებული სამხრეთით ოსეთის რესპუბლიკის ეგრეთწოდებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაკითხეს. აღმოჩნდა, რომ ცხინვალის პოლიციამ 9.00 საათზე ქალაქში დააფიქსირა ყვითელი ფერის თურქული წარმოების ფიატი სახელმწიფო ნომრით 7051 ГАМ, რომელიც მურთაზ სმოიანს ეკუთვნოდა. რამდენიმე ხანში გატაცებული ავტომობილის მფლობელი დააკავეს და ტაქსი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს.**

**მომხდარი ფაქტი თავისთავად დამაფიქრებელია, მაგრამ მოვლენების შემდეგომ განვითარებასთან შედარებით, მკვითხველს შეიძლება ჩვეულებრივადაც მოეჩვენოს, მით უმეტეს, რომ სულ ცოტა ხნის წინ მსგავსი შემთხვევები დედაქალაქშიც არ იყო იშვიათობა.**

**გატაცებული ავტომანქანის პატრონმა და გორის პოლიციის თანამშრომლებმა თავი ქუდში დაიგულეს, მაგრამ ნურას უკაცრავად, საქმე ასე არ დამთავრებულა. ცხინვალის პოლიციის ხელმძღვანელებმა ავტომანქანის დაბრუნებაზე უარი განაცხადეს. მოტივი შეიძლება სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ოსებმა ლოგიკურად იმსჯელეს და შემდეგი ვერდიქტი გამოიტანეს: ავტომობილის ნამდვილმა მფლობელმა 1800 აშშ დოლარი უნდა გადაუხადოს პირს, რომელსაც გატაცებული ტაქსი ჩამოართვეს, რადგან ეს უკანასკნელი გამტაცებელი არ აღმოჩნდა და მას ზუსტად ზემოთ აღნიშნული თანხა ჰქონია გადახდილი დამნაშავისთვის.**

**ტაქსის მძღოლი თბილისში ხელცარიელი დაბრუნდა. სააქციო საზოგადოება „11X11" გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ კვარაცხელიას და თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ ოთარ კაციტაძეს აღშფოთების საბაბი ნამდვილად ჰქონდათ და აქტიურად ამოქმედდნენ. 17 აგვისტოს ბატონი ვახტანგი და ბატონი ოთარი გორის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელებთან და რეგიონის გუბერნატორთან, ბატონ ბადრი ხატიძესთან ერთად ცხინვალში ჩავიდნენ. შეხვდნენ რეგიონის ეგრეთწოდებულ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ჩიტაევს და სამინისტროს სამძებრო განყოფილების უფროსს გაბარაევს.**

**ოსეთის მხარეს განაჩენი არ შეუცვლია. ისინი პრეტენზიას უყენებენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს. წარადგინეს 105 ავტომობილის სია, რომელიც ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან არის გატაცებული და დღესდღეობით თითქოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იმყოფება.**

**მათი ულტიმატუმი ასეთია: ქართველებმა გატაცებული ტაქსის საფასურად უნდა გადაიხადონ 1800 აშშ დოლარი, ან დააბრუნონ ერთ-ერთი მანქანა იმ 105-დან, რომელთა სიაც თავად წარადგინეს. ულტიმატუმის შესრულების საბოლოო ვადაა 20 აგვისტოს 24 საათი.**

# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

## №12 აუქციონი

განაცხადები მიიღება 1995 წ. 20 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის 17 საათამდე. 1 აქციის ნომინალური ღირებულება 1000 კუპონს 1,46 აშშ დოლარს
აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია

| № | აუქც. | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | პროცენტი საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავებული მიწის ფართობი ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | XII | 206. „თბილკონტრაქტი" (თბ.მომარ.გასაღ.სამმ.) | 68000 | 31000 | 45,59 | 45321,6 | 235-206 | ხიდის ქ.2, ტ. 996243 | ი.ხელაშვილი | |
| 2. | XII | 189. „ქიმპოლიმერი" ("საქქიმპოლიმერი") | 186203 | 70000 | 37,59 | 102339 | 238-189 | ჭირნახულის 1, ტ. 410597, 415893 | დ.მაჭავარიანი | 3,5 |
| 3. | XII | 193. „ტრანსპორტელი" (დედოფლისწყარ.ავტოს.) | 29419 | 10400 | 35,35 | 15204,7 | 170-193 | დედოფლისწყარო, სოფ.წითელწყარო | ვ.ხატიაშვილი | |
| 4. | XII | 301. „აისი" (გორის რძის ქარხანა) | 212465 | 102000 | 48,01 | 149123 | 150-301 | გორი, ღამბარაულის 2, ტ. 21003 | გ.ნოზაძე | 1,8 |
| 5. | XII | 199. „ოზურგეთის ჩაის საწონი ფაბრიკა" | 109500 | 47000 | 42,92 | 68713,5 | 370-199 | ოზურგეთი, კოსტავას 79, ტ. 66200 | ალომაძე | 4,3 |
| 6. | XII | 28. „სულორი" (ვანის ელ.მექანიკური ქ-ნა) | 281708 | 127000 | 45,08 | 185673 | 200-028 | ვანი, გტაბიძის 35, ტ. 22883 | აკიკნაძე | 5,7 |
| 7. | XII | 229. „სურამის ღვინის ქარხანა" (ხაშ.რ.) | 66979 | 32000 | 47,78 | 46783,6 | 600-229 | ხაშური, დ.სურამი, ალმაშენებლის ქ. | ზ.რუსია | 1,5 |
| 8. | XII | 240. „ჭანდარი" ("სამტრ." სამრ.კ.ფ-მა) | 130521 | 46000 | 35,24 | 67251,5 | 160-240 | გურჯაანი, სოფ.ჭანდარი, ტ. 23121 | ზაკალაშვილი | 5 |
| 9. | XII | 244. „ქუთაისის ავტოსერვისი „მოსკვიჩი" | 127495 | 61500 | 48,24 | 89912,3 | 480-244 | ქუთაისი, ბუკიას 24 | ნ.სარჯველაძე | 4 |
| 10. | XII | 245. „პოლიგრაფი" (ბეჭდ.სიტყვის კორპ.საწ.) | 135206 | 61000 | 45,12 | 89181,3 | 239-245 | ცაიშის 5 | თ.კოლოტაური | 6,8 |
| 11. | XII | 246. „იყალთო-XII" (თელ.იყალთოს ღვინ.ქ-ნა) | 94991 | 45000 | 47,37 | 65789,5 | 250-246 | თელავი, ს.იყალთო | გ.შათირიშვილი | 6,55 |
| 12. | XII | 250. „ელიტა" (თელავის ხორც.კომბინატი) | 39144 | 15000 | 38,32 | 21929,8 | 250-250 | თელავი, ალმაშენებლის 2, ტ. 34235 | ა.ჯავახიშვილი | 4,97 |
| 13. | XII | 263. „თოლია" (ზესტაფონის მეფრ.აგროფირმა) | 86428 | 42000 | 48,6 | 61403,5 | 210-263 | ზესტაფონი, სადგ.სვირი | ნ.ედიბერიძე | |
| 14. | XII | 280. „ექსტრა-4" (ჩოხატ.№4 ჩაის ფ-კა) | 232153 | 113000 | 48,67 | 165205 | 540-280 | ჩოხატაური, ს.ქვენობანი, ტ.2912 | გ.კუტუბიძე | 5,34 |
| 15 | XII | 282. „ექსტრა-3" (ჩოხატ.№3 ჩაის ფ-კა) | 85576 | 39000 | 45,57 | 57017,5 | 540-282 | ჩოხატაური, ტ. 2046 | თოლორდავა | 5,3 |
| 16. | XII | 283. „გურჯაანი" (გურჯ.ქ-ნა „ელექტრომანქ.") | 468674 | 225000 | 48,01 | 328947 | 160-283 | გურჯაანი, სარაჯიშვილის 53 | ო.თარხნიშვილი | 4,54 |
| 17. | XII | 284. „კახეთის გული" (გურჯ.ღვ.მჟავა-ნედლ.ფ.) | 91577 | 43000 | 46,96 | 62865,5 | 160-284 | გურჯაანი, არაგვისპირელის 40 | გ.გიორგაძე | 4 |
| 18. | XII | 291. „ველისციხე" (გურჯ.ველისციხის ღვ.ქ-ნა) | 144281 | 69000 | 47,82 | 100877 | 160-291 | გურჯაანის რ-ნი, ს.ველისციხე | ქიტიაშვილი | 7 |
| 19. | XII | 293. „გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწ." | 79262 | 32000 | 40,37 | 46783,6 | 160-293 | გურჯაანი, სარაჯიშვილის 45 | ა.დათუკიშვილი | 3,52 |
| 20. | XII | 300. „ლარი" (გორის ცენტრალური უნივერმ.) | 40910 | 18000 | 44 | 26315,8 | 150-300 | გორი, სტალინის პრ.14, ტ. 22046 | ნ.ექვთიმიშვილი | 0,32 |
| 21. | XII | 194. „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" | 81738 | 31000 | 37,93 | 45321,6 | 239-194 | მარჯანიშვილის 5, ტ. 955374 | ი.ანჯაფარიძე. | 0,78 |
| 22. | XII | 303. „კედარი" (გორის მრავალდარგ.საწ.) | 10929 | 4400 | 40,26 | 6432,75 | 150-303 | გორი, ქარხნის 37, ტ. 22902 | ა.კოპაძე | 1,2 |
| 23. | XII | 307. „აკურა" (თელავი, აკურის ღვინის ქ-ნა) | 330642 | 160000 | 48,39 | 233918 | 250-307 | თელავის რ-ნი, სოფ.აკურა | ა.თანდილაშვილი | 4,5 |
| 24. | XII | 310. „სამგორი-94" (სამგ.მეფრინველ.რეპროდ.) | 200962 | 92000 | 45,78 | 134503 | 140-310 | გარდაბნის რ-ნი, სოფ.გამარჯვება-1 | გ.ცომაია | 160 |
| 25. | XII | 314. „ლაზო" (ზუგდიდის ექსპ.ჩაის საწნეხი კ-ტი) | 401587 | 191000 | 47,56 | 279240 | 220-314 | ზუგდიდი, პარიზის კომუნის 50 | ნ.გულუა | |
| 26. | XII | 320. „სიმონეთის ღვინის ქ-ნა" (ს.კ.ფ.) | 135306 | 63000 | 46,56 | 92105,3 | 260-320 | თერჯოლის ო. სოფ.ქვედა სიმონეთი | ზ.სვანიძე | |
| 27. | XII | 337. „იმედი" (ოზურგეთის ქალაქგაჭრ.უნივერმ.) | 68400 | 31000 | 45,32 | 45321,6 | 370-337 | ოზურგეთი, გურიის 20, ტ. 63302 | ო.გობრონიძე | 0,38 |
| 28. | XII | 341. „ლედა" (ტრ.ინჯ.მშენის №2 დამხმ.საწ.კ.) | 374286 | 181000 | 48,36 | 264620 | 234-341 | ფონიჭალა, რუსთავის გზატკ. | ჯ.დათუსანი | 7,65 |
| 29. | XII | 549. „ნოჯიხევი" (ხობის №1 ჩაის ფაბრიკა) | 35422 | 14500 | 40,94 | 21198,8 | 610-549 | ხობი, ნოჯიხევი | ნ.კარტოზია | |
| 30. | XII | 731. „ბაქტერ.პრეპ.-ების საწ." (სსგ"ბაქტ.ფ.-ის") | 49214 | 19000 | 38,61 | 27777,8 | 237-731 | გოთუას 3 | მ.გასვიანი | |
| | | სულ | 4398978 | 2015800 | | 2947076 | | | | 248,7 |

პოეზია, უპირველეს ყოვლისა!

# ზვიად რატიანი

* * *

„ნინოს“

პატარა გოგო,
რომელიც არ მყავს
და რომლის სახელიც წინასწარ ვიცი,
მე ახლა ნაწვიმარ ქუჩაში გამყავს,
ვასწავლი სიტყვებს,
მასწავლის სიცილს.
ნელ-ნელა მივდივართ, ვჩერდებით
და ბთლოს
დავყურებ ამ ორი მორჩილი თვალით,
გვერდულად, ჩემივე მხარსუკან ვაბოლებ,
რომ არ შევაწუხო
კვამლით.
ვიგრძენი,
იმ კაცმა სულელად ჩამთვალა,
დაცინვით დამხედა,
შევცბი.
რას ვერჩი: თავის მხრივ კი არის მართალი —
ის ხომ ბავშვს ვერ ხედავს ჩემს წინ.
საათი წიკ-წიკებს,
პირველი ყოფილა,
შეღებულ სარკმელთან ვზივარ,
იმას კი, გოგონას, ჯერ რომ არ შობილა,
უკვე გვიანია, სძინავს.

## სიკვდილმისჯილთა ბლუზი

განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ

თოვა დაიწყო გუშინ და
ხვალ საღამომდე ითოვა.

ჩვენ კი დღეს მოვკვდით.

დრომ ერთი ცერად დაგვხედა და უკან ჩამოგვიტოვა,
საიქიოში ვზივართ და თქვენი ამბები მოგვდის.

ექვსი თოფიდან გვესროლეს, მივწექით ექვსი მკვდარი,
და განაჩენი სისრულე -
ში მოყვანილი არის.

თავი გვეგონა კინოში
და ვიკვნიტავდით თითებს.
ჩვენ არას ვერჩით პინოჩეტს
და, მით უმეტეს, ჰიტლერს:

სული ჩვენი ცოდვებს ინანიებს.
თემიდას მახვილი ყელზე გვითათუნებს.
ჩვენ არ გახლავართ მსხვერპლნი ტირანიის.
ჩვენ არ გახლავართ კერძი დიქტატურის.

ჩვენ ყველამ დავიმსახურეთ
ეს განაჩენი,
რადგან:
დავხარბდით ძვირფას საყურეს
და გადავხედეთ ნაგანს.

მერე გვიპოვნეს, დაგვაპატიმრეს,
დედა გვიტირეს,
უფრო სწორედ, თვითონ გვატირეს.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

თოვა დაიწყო გუშინ და
თოვა დახვრეტას ხელს არ უშლიდა.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ჩვენ ექვსმა ლულამ გაგვწირა
და ვწევართ,
ვწევართ,
ვწევართ,
ველარ გავალებთ მაცივარს,
ალარ აგვიწევს წნევა,
ალარც შეგვცივა, დაგვცხება, და ალბათ ალარც მოგვშივა,
ალარც მათრახებს დაგვცხებენ —
იზოლატორის მორგში ვართ,

საკუთარ ხელებს ვნახულობთ —
სიმწრისგან ნაჭიჭგნ-ნაკბენთ,
ზემოთ კი,
ალბათ დახურეს
სისხლის სამართლის საქმე,
რომელსაც ჰქონდა №
566-ბე,
ჩვენ საქმე ვქენით, რომელიც
ძვირად დაგვიჯდა ექვსივეს.

თოვა დაიწყო გუშინ და ხვალ საღამოსთვის დადო.
ზეწარი რომ გაგვიშალე, ბუნებავ, დიდად გმადლობთ!

ქვეყნად არც ერთი შეკითხვა
ჩვენ აღარა გვთხოვს პასუხებს,
და მხოლოდ ერთი მათგანი ჯერ კიდევ მაინც გვაწუხებს:

თითქოს ხაფანგში გავებით, კითხვა ყულფივით გვბოჭავს:
დ ა ხ ვ რ ე ტ ი ლ ე ბ ი ს გ ვ ა მ ე ბ ი
თ უ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა ო ჯ ა ხ ს?

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

თოვა დაიწყო გუშინ და
ხვალ საღამომდე ითოვა,
ზეგ საღამომდე ითოვა,
და ასი წელი კიდევ–

## ოროთახიანი ლექსი

1. მზე ათბობს მინას,
წვიმისგან აცრილს,
ხმა ისმის, — ვილაც აჭედებს ლურსმანს,
რაფას იდაყვით ეყრდნობა კაცი
და ახალ გაზეთს ზმორებით ფურცლავს.
2. ქუჩას შეაშრა წვიმების კვალი,
მზე უსვამს ენას,
ლოკვით ვერ ძლება,
სუნთქვაშეკრული კითხულობს ქალი
ლექსებს, რომლებიც მას არ ეძლვნება.

## ოდა ქუჩის ტელეფონ-ავტომატს

სალამოს ქუჩა.
სექტემბრის წვიმა.
და ნაცრისფერი სახლის კედელზე —
ტელეფონის ავტომატი, ჩაფიქრებული.

ის დაიჩაგრა, დაიჩაგრა დაბადებიდან. დაბადებიდან გაიწირა სიჩუმისათვის. არავინ იცის, როგორ უნდა, როგორ ოცნებობს, რათა ვიღაცამ გადმორეკოს, ერთხელ, შემთხვევით, და ახმიანდეს, გაიჟღეროს, გაიწკრიალოს, მანაც შელახოს, თუნდაც ერთხელ, ქუჩის დუმილი.

ის დაიჩაგრა, დაიჩაგრა დაბადებიდან. უნდა ეკიდოს მუდამ ასე, დამუნჯებული. უნდა აწვიმოს და ათოვოს, უნდა სციოდეს, და ასეთ ძლიერს, ასეთ ურყევს, რკინით ნაკეთებს, კვლავ უნდა შურდეს იმ უდღეურ თანამოძმეთა — ცეცხლზე დამდნობი პლასტმასისგან გაჩენილების — ნებიერად რომ წკრიალებენ მყუდრო ბინებში და თუკი მტვერი მოედებათ, ნაზად რომ სწმენდენ.

ის უნდა სდუმდეს, ასანთისღერგაჩრილი პირში.

ნუთუ არ ხდება სასწაული, რომ, ერთხელ მაინც, დარეკოს ვინმემ და დაირღვეს ქუჩის დუმილი,
სულ ერთხელ მაინც, სანამ დროა, თორემ სულ მალე
ვილაც მოვა და — როგორც ხდება ხოლმე ყოველთვის —
ყურს ჩამოახევს,
გადანომრილ კბილებს ჩაუმტვრევს
და აღარაფერს,
აღარაფერს ექნება აზრი!

* * *

ცა პირს დაალებს, დანტისტის სკამზე მჯდომი კაცივით.
— ესაა ღამე.

აქა-იქ ჩანან ვარსკვლავები: მეჩხერი კბილები.
და ლურჯი ღრუბლები: ჩაჩირქებული გლანდები
ღამის.

(თავისით არა და არ მოწყდა ვარსკვლავი, არ მოწყდა ჩემი
ბედის ვარსკვლავი!
იძულებული ვარ, თვითონ ჩამოვწყვიტო).

ღამე დაიკივლებს ამ დროს —
კაცივით —
რომელსაც სალი კბილი ამოუღეს.

## ქველისქველისქველისქველი ლექსი

როგორც ხშირად ხდება ქვეყნად, როგორც ასე ხშირად ხდება —
ბიჭი გოგოს ვერას უმხელს, მაგრამ გოგო ისეც ხვდება.

ტოტი თრთის და ჩიტი გალობს,
დილა მზეობს, ბარტყი ბარტყობს,
ბიჭი მორცხვობს, გოგო ქალობს.
გოგო ხვდება,
გოგო ატყობს.

გოგო წინა მერხზე ზის და
ვითომ ლიმილს
ვითომ მალავს,
ფოთლები კი, ფანჯრის მიღმა, შრიალებენ უდარდელად,
ბიჭი მზერით გოგოს ზურგზე გასაოცარ ქალაქს ხატავს,
უცნაური,
უცნაური
გაკვეთილი უტარდებათ.

ზარი რეკს და სახლისაკენ
ერთი გზა აქვთ,
ერთი შარა:
ბიჭი უკან მიაბიჯებს, გოგოს უმზერს წინმიმავალს,
უმზერს, ხვდება: ერთად წასვლა, აი, ისევ ჩაიშალა,
გოგომ სახლთან შეუხვია, გოგო უკვე მიიმალა.

ჰოდა, როგორც ხდება ქვეყნად, როგორც ხდება ასე ხშირად —
ბიჭი წევს და მთვარე სდუმს და გოგოს სადღაც სძინავს მშვიდად.

ღამით ბიჭი გოგოს სახელს
წერდა, შლიდა,
წერდა, შლიდა...

ასე ხდება, ხდება მუდამ, მუდამ სწორედ ასე ხდება:
ან შეირჩენს ბიჭი გოგოს, ან — ხელიდან დაუსხლტება.

## დილამშვიდობისა №1

ვიცი, გათენდა, მაგრამ ჯერ კიდევ
თვალდახუჭული თავს ვიმძინარებ.
ვიცი, სარეცხის დაღლილ თოკებზე
ხმაგაკმენდილი ჩიტები სხედან.
ვიცი, სულ მალე თვალებს ავახელ, გავიზმორები, როგორც მდინარე.
ვიცი, დამხვდება თავთან წერილი:
„უჭმელი არსად წახვიდე (დედა)“.
ვიცი, პეპელა, გუშინ ნანახი, აღარ იქნება ცოცხალი მაზეგ.
ვიცი, სარდაფში, ცხელი წყლის მილზე, თვალცრემლიანი თეთრი ძაღლი წევს.
ვიცი, პარიზში დღეს ვერ მოვხვდები
და ვერ მოვხვდები — მით უფრო — მარსზე.
ვიცი, მეზობლის ძველი მანქანა ხვალ დილით ისევ გამომალვიძებს.
ვიცი, სოფელში, გრძელი გვალვები კვლავ წაუხდენენ ხასიათს გლეხებს.
ვიცი, მაისის ცხელი წვიმები აამღერებენ კვლავაც სახურავს.
ვიცი, ზაფხულის არდადეგებზე გადაღებავენ სასკოლო მერხებს.
უკანასკნელი ჩემი მკითხველი, ვიცი, ჯერ კიდევ არ ჩასახულა.
ვიცი, მეგობარს, მე რომ დამკარგა,
დღეს გუშინდელზე მეტად ვჭირდები.
ვიცი, ზაფხულში მომენატრება ჩემი ქურთუკის მძიმე სარჩული.
ვიცი, არასდროს არ დამჭირდება
მე ტყვიამფრქვევის ცივი მჭიდები.
ვიცი, არასდროს განმიახლდება მკვდართან შეხების შიში ბავშვური.
ვიცი, ამ წუთში, ჩემი ნაცნობი
ფიქრობს, რომელი კაბა ჩაიცვას.
ვიცი, ნაკლული კბილის მაგივრად
ახალი აღარ ამომეზრდება.
ამ სტრიქონებსაც, ახლა დაწერილთ, არ მოვიწონებ, ვიცი, გაისად.
ვიცი, წერტილი აქ არ ისმება,
მაგრამ, რას ვიზამ, წერაც მბეზრდება.

## დილამშვიდობისა №2

მზემ შემოიხედა ფარდის ნახევიდან
და ფარდა დამყურებს
ღიმილმორეული,
მე მლვიძავს, ვთქვათ ასე, ათის ნახევრიდან,
ვიცდი,
როდის მოვა ჩემი ორეული,
რომ ავდგეთ, რომ სადმე გავიდეთ, ქუჩაში,
ნამდვილი „მე“ კი, დავტოვოთ უჯრაში,
ან აქვე, საწოლში, ან იქნებ, კარებთან,
ამხელა სიმძიმეს თან ვერ ვატარებ და
არც არის საჭირო,
არავინ არ ითხოვს,
ჩემი ორეული მათ ყაიდაზეა,
რისთვის ვატარო? რას ამბობთ! ამით ხომ
თავსაც გავიტანჯავ
და სხვებსაც,
ასეა!
მივდივარ ქუჩაში ლალად და მსუბუქად,
არა მყავს მტრები და მტრებს, მე რომ არა მყავს,
ჯერ ჩემი სახლ-კარი არ გადაუბუგავთ,
ამიტომ მივდივარ მშვიდად და ამაყად,
ჩემი ორეულის მარტყია ჯავშანი,
არავინ მაშინებს,
არავინ მართობს,
მივდივარ, აფც თვითონ არაფერს ვაშავებ!
უბრალოდ მივდივარ,
მივდივარ
მარტო.

გახსენება

# ვითარცა იობი



გივი მაღულარია და რევაზ ინანიშვილი

არასოდეს მინახავს ადამიანის ისეთი ტანჯვა, ამ სოფლიდან გასვლის წინა დღეებში რომ განიცადა გივი მაღულარიამ... მწერალმა, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, კაცმა, რომლის ფიზიკური არსებობა მუდამ იყო კეთილშობილების, სიკეთის მაგალითი.

მე მიჭირს ავხსნა, რატომ უნდა იწვალოს მოკვდავმა ასე... მართალი იობის მსგავსად. მიჭირს თვით იობის მაგალითის შემდეგაც. ერთი კი ნამდვილად დავინახე: უზენაესისადმი კი არა, თვით მათდამიც, ვისგანაც გულნატკენი იყო, საყვედური არ წამოსცდენია. ეს ჩემი წილხვედრი და ჩემი გასავლელი გზააო, ამბობდა, — ასე მიწერიაო.

უკურნებელი სენით იყო ავად. არც ამ სენის სახელი უქცევია სიტყვებად. ღირსებით იტანდა ყოველივეს. ტანჯვა კი მართლაც თავიდანვე დაებედა, 1948 წლიდან... როდესაც თავის მეგობრებთან ერთად დააპატიმრეს, უნივერსიტეტიდან წაიყვანეს, ჰგვემეს, აწვალეს და ბოლოს კატორღაში განამწესეს... ცხრა წელი შორეული სიცივის ქვეყანაში იცხოვრა... ღირსებით ზიდა თავისი ჯვარი იქაც... იმ განცდით, იმ განვლილი ჯოჯოხეთის ტკივილით დაიწერა მისი რომანი „უკუქცევა“, ქართულ ენაზე ერთადერთი რომანი, რუსული კატორღის სამყაროში რომ გვახედებს. იგი 1961 წელს დაიწერა, მაგრამ გამოქვეყნება მხოლოდ ახლა მოხერხდა ჟურნალ „ცისკარში“ (მალე ცალკე წიგნადაც გამოვა). რამდენიმე ხელნაწერის სახით, შიშით, რომ ყოფილ პოლიტიკურ კატორღელს, შესაძლოა, ისევ სწვეოდნენ „სუკის“ მუშაკები, იგი მისი მეგობრების ბინებში ინახებოდა. გივის უყვარდა ეს რომანი. მასში მისი ცხოვრების უმძიმესი ტკივილებია გამოხატული. საოცარია ამ წიგნში გადმოცემული არა მხოლოდ კატორღული ცხოვრების სურათები, არამედ მისი ფინალიც, სადაც რომანის გმირი უარს ამბობს კატორღიდან გასვლაზე... მრავალი ფიქრის შემდეგ, უკვე სამშვიდობოს მყოფი, ისევ უკან ბრუნდება. იგი ვერ ხედავს სხვაობას კატორღასა და გარესამყაროს შორის.

მძაფრი და შეუქცევადია ეკლესიასტესეული ამქვეყნიური ამაოების განცდა მის სულში... ტკივილი, რომელსაც ეს განცდა იწვევს. ეს არა მხოლოდ ამ რომანიდან, მთელი მისი პიროვნული არსიდან მოდის. ამ ტკივილსა და განცდას ყველა მის ნაწარმოებში ვხედავთ.

„ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო...“ — რეკს ეკლესიასტეს ზარი. რეკს განუწყვეტლივ.

ამ ტკივილითაა დაწერილი მისი ერთ-ერთი პირველი მოთხრობაც ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელსაც „დაღამება ამა სოფლისა“ ჰქვია. ბარათაშვილის უკანასკნელი, სიცოცხლესთან განშორების წუთებია მასში აღწერილი. საოცარია, მაგრამ დიდი პოეტის სიკვდილში, რაღაცნაირად, ამ სოფლიდან თავისი გასვლის ტკივილიც განჭვრიტა თითქოს წინასწარ... რაღაც ერთნაირი უსათუოდ იყო მის მიერ აღწერილსა და განცდილ სიკვდილის წუთებში.

საერთოდ, ნამდვილი ოსტატის კალმით აისახა მის ნაწერებში წუთისოფლის ამაოებისა და მისი განცდის უმძაფრესი სურათები, რომელთაგან მთავარი, ალბათ, „მეამბოხენია“. საუბარი შანშე ერისთავისა და გივი ამილახვრისა... ყოფილი მტრები და მეამბოხენი, თვალდათხრილი და თვალდასათხრელი, სპარსეთიდან საქართველოში და საქართველოდან სპარსეთს მიმავალნი... ორივე დამარცხებული... სხედან ერთად, გზის კიდევ ერთ გასაყარზე...

ძლიერია ეს განცდა და ტკივილი მის მითიურ რომანშიც „ცეცხლი ცისა და მიწისა“.

ერთი ეპიზოდი: მრავალი ტანჯვის შემდეგ ბორკილებს იხსნის და, პრომეთე, ვინაც ადამიანებს ცეცხლი აჩუქა, მოდის მიწაზე, მარტოდ, მიუსაფრად... და ადამიანები ვერ სცნობენ მას...

— შენ ვინ ხარ? — ეკითხება მას ვიღაც ხეიბარი...

ადამიანებს სჭირდებათ მხოლოდ იდეა და არა თვით ის, ვინც მათთვის თავი დადო... სჭირდებათ მითი პრომეთეზე, რომელიც მათი გულისთვის კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვეს... სჭირდებათ ნატვრა, ოცნება, რომ გამოიხსნან იგი. ეს მითი საუკუნეებში გადადის და მისდამი დამოკიდებულება მუდამ ერთნაირია. მაგრამ აი, ბოლოს იგი ჩამოვიდა მიწაზე... ეს კი უკვე სინამდვილეა. აღარ სჭირდებათ ადამიანებს ეს სინამდვილე. არავის მისი არ სჯერა... არც თვითონ ცდილობს მათ დარწმუნებას... ყოველივე ამაო ყოფილა...

როცა ამას ვწერ, მე კარგად მახსოვს და ვიცი, რომ გივი თავისი ბუნებით პესიმისტი არ ყოფილა... მის სულს მუდამ ასხივოსნებდა ქრისტეს რწმენა... ზოგჯერ იქნებ ბოლომდე შეუცნობლად, მაგრამ მაინც მუდამ თანმიმდევრულად მიჰყვებოდა მის მცნებას. იგი მორწმუნე ქრისტიანი იყო და ეკლესიასტესეულ ფილოსოფიას ქრისტიანის თვალით ჰვრეტდა. მას თავდავიწყებით უყვარდა თავისი სამშობლო, მისი თავისუფლებისთვის იღვწოდა, კატორღაშიც ამიტომ იყო და, საერთოდაც, ყველა სალოცავთან საქართველოსთვის ლოცულობდა. არ მიელტვოდა სიმდიდრეს, სახელს, დიდებას... არავის არაფერში არ არწმუნებდა, არავისგან არაფერს არ ითხოვდა. — აი, ეს მიაჩნდა მას წუთისოფლის ამაოებად. თავისი ბუნებით იგი შემოქმედი იყო. სწამდა და უყვარდა თავისი საქმე.

მისი ჭვრეტის საგანი უმეტესად XVII-XVIII საუკუნეების საქართველო იყო — დაღლილი, აბურდული, დაქცეული, ყველაზე მეტად ტრაგიკული... ჟამი, როცა ქართლის მიწა-წყალი ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული უცხო ტომებით აივსო... როცა თბილისში მუეძინების კივილი ისმოდა (გაიხსენეთ მისი ბრწყინვალე მოთხრობა „დესპანი“).

და აი, ამ დროს, დიდი მნათობივით ამობრწყინდება ქეთევან დედოფალი, ვინც გასაოცარი წამებით განეშორა ქვეყნიერებას. გივი მაღულარიამ მოთხრობაში „და განიყვეს სამოსელი მისი“, ქეთევანის წამების წინა საათები აღწერა.

„ეს ქვეყანა ჩემთვის მანამდე არსებობს, სანამ მის ერთ პატარა კუთხეს საქართველო ჰქვია“, — ამბობს ამ მოთხრობის გმირი და ის თვით მისი ავტორის სათქმელიც იყო... ესაა იდეა, აზრი ამ ნაწარმოებისა.

ამაღლებული ტკივილის განცდითაა დაწერილი ეს მოთხრობა... ღრმად შთამბეჭდავია მისი ფინალი. ტანჯვა სულისა და ხორცისა და სულის ზეიმი. ეს ის ერთადერთი შეუქცევადი სინამდვილეა, რამაც იმ ურთულესი ყოფიერებიდან გამოიყვანა და გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა. ესაა ქრისტიანობა, რწმენა ქრისტესი.

ავტორს თითქოს თვითონ უცხოვრია იმ საუკუნეებში და უნახავს ყოველივე.

მას იზიდავდა დიდი თემები და დიდი ტკივილები... ერთი დღეც არ უცხოვრია უშთაგონებოდ. ეძებდა თავისი ქვეყნის შორეულ ფესვებს, მის უკეთეს და უკეთილშობილეს გამოსახულებებს.

სწამდა ქრისტიანული საქართველო. ქართველი ხალხის ქრისტესადმი სწრაფვას და სიყვარულს მან რამდენიმე წიგნი მიუძღვნა.

მახსოვს, 1978 წლის პირველი დღეებიდანვე, როდესაც ქართული ეკლესიის ცხოვრებაში აღმავლობის სული გაღვივდა, გივი მაღულარიამ რუსულიდან თარგმნა მშვენიერი წმიდა წიგნი ათონის მთაზე. თარგმნა შესანიშნავად და მისი ერთი ნაწილი მაშინვე „ჯვარი ვაზისას“ მეორე ნომერში დაიბეჭდა. ეს იყო მისი პირველი მოსვლა ეკლესიასთან. შემდეგ, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობის ტალღა აზვირთდა, იგი ხშირად იდგა სიონის ტაძარში და ჩვენთან ერთად თავისი ქვეყნისთვის ლოცვას აღავლენდა. შემდეგ დროდადრო, არც თუ იშვიათად, „სალვთისმეტყველო კრებულში“ დაიბეჭდა მისი წერილები ვახტანგ გორგასალზე, დავით აღმაშენებელზე, დავით და კონსტანტინეზე, ელიზბარ, შალვა ერისთავებსა და ბიძინა ჩოლოყაშვილზე...

მას სწამდა თავისი. ქვეყნის მომავალი. იგი მოესწრო თუმცა აწეწილ, მაგრამ მაინც თავისუფალ საქართველოს და ღრმად განიცადა ეს. ბოლომდე ტელევიზორის ეკრანს შეჰყურებდა, აფხაზეთის ამბებს უსმენდა...

და აი, იგი უკვე წავიდა...

ადამიანებს ბევრი რამ ეშლებათ სიცოცხლეში. ეს ცხოვრება ტანჯვისაა და ძნელია მისი უშეცდომოდ გავლა... მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იბრუნებს კაცი თავის ნამდვილ სახეს და უფალთან წარმდგარს მხოლოდ თავისი სიმართლე იხსნის... გივი მაღულარიამ სინათლით გაიარა ეს მძიმე გზა, გაიარა მარტომ... ახლობლებიც ჰყავდა და მეგობრებიც, მაგრამ მაინც მარტოდ მიდიოდა და კარგად ისინიც კი არ იცნობდნენ არც სახით, არც პიროვნულად, ვინც მის წიგნებს მუდამ ინტერესით კითხულობდა.

მინდა ეს პატარა წერილი დავამთავრო მისივე სიტყვებით, რომელიც მან დავით გურამიშვილზე დაწერა:

„მას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შერჩა ცნობიერება და აღარც სიკვდილის შიში აწუხებდა და აღარც წარმოდგენით გამოწვეული საშინელებანი აფრთხობდა. ხოლო, როცა იმ სამყაროს შეერწყა, რომლის ნაწილადაც თავის თავს თვლიდა და იმ ღმერთის სახელი ახსენა, ვისი ნებითაც მის სხეულში სიცოცხლე ჩასახლდა, თავისუფლად ამოისუნთქა და წუთისოფელს განშორდა“.

ილოცებს მისი სული თავისი მრავალტანჯული ქვეყნისთვის.

**თინათინ კობალაძე**

**რედაქციისგან:**

**ბატონ რევაზ ინანიშვილს თავის დღიურებში გივი მაღულარიას რომანისგან — „უკუქცევისგან“ — მიღებული შთაბეჭდილებები ჩაუწერია. იგი ქალბატონ თინას ბატონი რეზოს მეუღლემ, ქალბატონმა როზამ მიაწოდა. გთავაზობთ მწერლის ამ ჩანაწერს მისი ფაქსიმილეს დართვით.**



## საგანძური

მართალნო, ქვეყნის ერთგულნო! ნუ დაივიწყებთ თქვენს ღმერთს, ილოცეთ იგი! შეინანეთ ის შეცდომანი, რამაც ხელი შეგიშალათ, და ეცადეთ მომავალში აიცდინოთ თავიდან...

დიდო-მარხვაო! დიდად მარხულნი ვართ, ჩვენი განა მარტო თვალები? გული და გონებაც ცრემლის მორევში დახცურავს. ვლოცულობთ და ვევედრებით ღმერთს გვექმნას მზედ და მფარველად, მოგვცეს ჩვენც, ჩვენს ქვეყნის შვილთ, ძალი და ღონე მოვუაროთ, ვუპატრონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო, მოვესწროთ აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ!

ვაჟა-ფშაველა



ქრისტიანული ლირიკის არსებობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში უდავო ფაქტია. ეს არც არის გასაკვირი. მართლმადიდებელი მღვდლის ოჯახში აღზრდილ ვაჟას ბავშვობიდანვე ჩაენერგა ბიბლიისა და სახარების სიყვარული, რაც შემდგომ „საძირკვლად, ლიბოდ დაედვა“ მის შემოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მრავალი ასპექტით არის გაშუქებული, პოეტის რელიგიური ლირიკა დღემდე არ არის ჯეროვნად შესწავლილი და წარმოჩენილი. სწორედ ამ მიზნით შევარჩიეთ ვაჟას რამდენიმე ლექსი.

თამარ შარაბიძე

### ვარსკვლავი

უცხო დაბრწყინდა ვარსკვლავი,
კლდის თავზედ დამცქერალია,
კლდის ეხში ჰკოცნის ბატარას
სხივ-მოფენილი ქალია.

გაჩუმებულა სამყარო,
შაყენებულა წყალია,
ბუნების არსთა ყველათა
კლდისაკე ჰრჩებათ თვალია.

გადახალისდა ქვეყანა,
უცხო რამ იგრძნო ძალია.
„არ წავსწყმდებიო, არაო“, —
ბუნებამ დაჰკრა ზარია.

შავეთში გადაგდებული
აღგომას ჰბედავს მკვდარია,
მაცხოვრის შობა შაიტყო,
შავეთის ტყდება კარია, —

გახარებულმა ზეცამა
უხვად დაყარა ცვარია.
ტყდება მონების ბორკილი,
ეშმაკს დაუდგეს თვალია!

### საშობაო სიმღერა

მშიერი გაძღომას ნატრობს,
ხოლო ტუსაღი შვებასა,
წყალ-წაღებული ხავსს ეძებს,
თან უფალსა სთხოვს შველასა.
ვისაც რა სტკივა, წესია,
იგი აუბნებს ყველასა.
ისრაილები ელოდნენ
ერთს დროს ცით განათლებასა.
დაუდგათ სანატრელი დღე,
სიტყვა გაისმა ახალი,
მაგრამ გასჭირდა ძალიან,
არვინ იწამა მართალი.
და სიტყვა მაცხოვნებელი
უცხოდ ეჩვენა ყურებსა.
დიდი ჩოჩქოლი შაექმნათ
მაშინვე მელა-ტურებსა...
დღეს ვიცით, ცოდვა რაც არის,
ნასწავლები გვაქვს ცოდნა:
„ცოდვაა მოყვასის ჩაგვრა“,
ჩვენ გვესმის ყოველ მხრიდანა,
თუმც არ ვასრულებთ არასდროს,
რაც დაგვევალა ღვთიდგანა.
ცუდს ზნესა უძლური ცოდნა
გაამათილებს სიდანა?
და ჯვარი ნაზარეველის
სამკაულად გვაქვს გარეთა,
ვერ ჩავისახეთ გულშია
მასხივოსნებელ მთვარედა.
მწარეს ვჭამთ, გრძნობაც მწარე გვაქვს,
თუმცა კი არ ვგრძნობთ მწარედა.
ბნელში ვართ, მაინც ბნელში ვართ,
დღე გარდავქმენით ღამედა.

### დიდ-მარხვა

აღსდგება ქრისტე, აღსდგება,
დიდის ტანჯვისა მნახველი,
იმასთან ერთად აღსდგება
ქრისტესმოსავთა სახელი.
ვინც ქრისტეს დაემოწაფა,
თავი შეაკლა რწმენასა,
ნეტარხსენება ვაჟკაცებს,
გმირების ალმაფრენასა.
ქრისტე აღსდგაო, დასძახებს
მთა-ბარად ნაზი ბულბული,
გაგვინათლდება აღდგომით
ყველას დამწვარი სულგული.

### წმინდა ნინო

სასახელოა ჩვენთვისა
დედათ-მთავარის დღეობა,
იმის წყალობით განმტკიცდა
ქართლში ახალი ზნეობა.
ვცანით იესო ქრისტესი,
ჭეშმარიტის ღვთის ძეობა
და ქრისტეს სწავლა-მოძღვრების
სიდიდე, მძლეთა-მძლეობა.
ვინც ქრისტეს მცნება გვასწავლა,
ქართველთ გვწამს მისი ზნეობა.
იკურთხოს მისი სახელი,
იკურთხოს ნინოს მხნეობა.

### ჩემი ვედრება

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლადა;
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.
გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობისა შუქითა,
ნუ მავლევ ქვეყანაზედა
გაცივებულის ლეშითა, —
თვალებში მადლ-დაკარგულსა,
შუბლზე გაკრულის მეშითა.
ნუ დაუკარგავ ჩემს სატრფოს
მადლს, გულზე ცეცხლის მდებელსა,
ნუ დაუძვირებ ოცნებას,
შენს ხმას, სხივ-გამომღებელსა:
სიცოცხლედ უღირს ბეჩავსა,
ეძახის თავის მხლებელსა.
გულს დარდი გამიდიადე
იმ სანეტარო საგანზე,
დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე
ჩემის გონების საბანზე!..
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე-მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნურადროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა, —
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა,
მფარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა დრო-ჟამი
სულ ბოლოს ამოქშენისა.
სული — შენ, ლეში — მიწასა,
აღარა ვგლოვობ ამასა;
თევზი — წყალს, ცასა — ვარსკვლავი,
შვილი — დედას და მამასა.

### როს ვუკვირდები თავის-თავს

როს ვუკვირდები თავის-თავს
და არ ვემდური მეტადა:
მადლს დავთვლი ათასობითა,
ცოდვა სამ რჩება კენტადა,
მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცად ვიწევ ასაფრენადა;
გაჩნდება სითლაც ნათელი,
გულს ჩამიდგება სვეტადა;
ზღვავდება მწყობრი სიტყვები
ქაღალდზე დასაბღერტადა;
მითრთიან გულის სიმები
სიამოვნების ღმერთადა...
ზღვად ვცურავ ნეტარებისა,
წვერი ხელთა მაქვს კალთისა,
უფლის და მისთა მსახურთა
ლოცვა-კურთხევა მამდისა;
კალთაში ვარდი მეშლება,
თავზე მანანა დამდისა...
და თუ ცოდვები მომძალდა,
სდუმს ჩანგი, გული ბნელია...
ამაოდ ვტანჯავ თავის-თავს...
ვამხელ და გასამხელია:
იგივ მარჯვენა და კაცი,
იგივ კალამი მჭრელია,
დაჩლუნგებულა, დამდგარა,
შემოჰხვევია ვველია.
ჯოჯოხეთში ვარ, ვიწვები,
გაჩენის დღესა ვწყევლია.
ასე ყოფილა, მგონანსა
თუ მადლი გამოელია.

### მგოსნის სიმღერა

სამს წელს სჯა იყო სასუფეველში,
მომცენ თუ არა ნება წერისა:
მე ყურს ვუგდებდი სულ-განაბული,
ფიქრს სცემდა ტალღა გულის ბგერისა,
თავი მომეკლა ამას ვფიქრობდი,
ღონე არ იყო მოთმინებისა.
უფლისა საბჭომ კვლავ ნება დამრთო
ჩანგის აღების და ზედ მღერისა.
დიდება უფალს, რაკი შევიძელ
კვლავ სამსახური ჩვენის ერისა,
დაჩაგრულების გამოსარჩლება
გათახსირება იმის მტერისა!
დიდება უფალს, რომ კვლავ მომეცა
ძალა ცოურის ალმაფრენისა,
რომ სიმუნჯისა ტვირთს ქვეშ არ მოვკვდი,
კვლავ შემიძლიან დაძვრა ენისა
და უხმარ საგძლად საფლავს არ მიმდევს
მწარე ნაღველი გულის კბენისა!

### ვინც მომამადლა მე დიდი მადლი

ვინც მომამადლა მე დიდი მადლი
მკვდართ აღმადგენელ ხმათ ჩანგზე თქმისა,
ვინც ჩანგი მიძღვნა თვისი ნაკურთხი,
მომჯადოები სამოთხის ხისა,
ვინაც დამნიშნა ერის აღმზრდელად, —
ჩემს ბედს ყოველმხრივ განაგებს ისა:
როს მოისურვებს მიწა-მტვრად მაქცევს,
არა, — დამიდგამს სამეფო ტახტსა;
მაშ რა ვემდურო უმადურ ბრბოსა,
წყევლა ვით ვუძღვნა ჩემ ბედკრულ ძმასა?
წადით, გამშორდით, მაცდურო ხმებო,
არ მომიწამლოთ მაღალი ჰანგი.
მოძმეთა წყევა არ ათქმევინოთ,
არ გააბრიყოთ მგოსნისა ჩანგი.

* * *

ქრისტე აღდგა! და სატანა, მაცდური ხალხის,
იკაწრის სახეს, იგლეჯს თმასა მოთქმა-ზარითა.
ჯაჭვი სისხლული და ერთგული სულის მონობის
გაიჭრა შუა სამუდამოდ ფიჭვის ჯვარითა.

მიწა გრძნობს შვებას და იმღერის მთელი ქვეყანა,
მკვდრები ხორცსისხმენ და წყვდიადით გამოდგენ გარე
თავ-გაჩეჩქილი გველი კვნესის კერპთა ნამტვრებთან
და მახარობლად ციურ ქვეყნის მობრუნდა მთვარე.

ყველა ელირსა სულის შვებას, დარჩა იუდა.
ტან-დაშეშრილი, შესაზარი ჰკიდია ხეზედ.
ღვთის ლმობაზედა იმედოვნებს, ცხონება უნდა,
მაგრამ, ტყუილად! დაისჯება ახალსა წესზედ!

რად გაჰყიდე, უგუნურო, ღმერთი ფულზედა?
გვიანღა არის სინანული, ქრისტეს ვედრება!
აქ ხალხი იტყვის გულ-არევით წყევლას შენზედა,
იქაც უწყვეტლივ წვა და ტანჯვა ცეცხლში გერგება!

ინტერვიუ

# დავით ყიფიანი: «მდგომარეობის გამოსწორება სავსებით შეიძლება»...



22 აგვისტოს თბილისში გაიმართება უეფა-ს თასის გათამაშების წინაშესარჩევი მატჩი ფეხბურთში. თბილისის დინამო განმეორებით შეხვედრაში უმასპინძლებს პლოვდივის ბოტევს. გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ, რომ პირველი მატჩი დინამოელებმა თამაშის ხარისხითაც და ანგარიშითაც (0:1) წააგეს. გამოჩნდა უამრავი ხარვეზი, რომლის აღმოსაფხვრელად დავით ყიფიანს მხოლოდ ორი კვირა ჰქონდა. რა მდგომარეობაა დღეს გუნდში და როგორ ემზადება ამ მატჩისთვის საქართველოს ჩემპიონი? გთავაზობთ მცირე ინტერვიუს თბილისის დინამოს მთავარ მწვრთნელთან ბატონ დავით ყიფიანთან, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ.

— ბატონო დავით, ბულგარეთში ჩვენებმა პირწმინდად წააგეს. 0:1 კატასტროფა არ არის, მაგრამ გულშემატკივართა მღელვარება დინამოელთა უფერულმა თამაშმა გამოიწვია. რას იტყვით პირველი შეხვედრის შესახებ?

— მართალია, სუსტად ვითამაშეთ, მაგრამ კატასტროფული მდგომარეობა სულაც არ არის. 0:1 ისეთი ანგარიშია, რომ სავსებით შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ გამარჯვების მოსაპოვებლად. არსებობს საკითხის მეორე მხარეც. ვიყოთ რეალისტები და ემოციებზე დაყრდნობით ნუ მივუდგებით საქმეს. გულშემატკივარმა კარგად იცის, რომ „დინამო" ერთი თვის შექმნილია და შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ყალიბდება. გუნდი ყველა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. ახალი ტალანტების მონახვას, გუნდში მოზიდვას და ახალგაზრდების დიდ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებას კი დრო ჭირდება. „დინამოს" საშუალო ასაკი 21 წელია. ბევრი ფეხბურთელი საერთოდ პირველად ატარებდა საერთაშორისო შეხვედრას, ამიტომ „ბოტევთან" შეხვედრისას თავი იჩინა გამოუცდელობამაც, მოქმედებდა ფსიქოლოგიური ფაქტორიც. შეიმჩნეოდა შეუთამაშებლობაც. აგრეთვე გვერდს ნუ აუვლით ჩვენს მეტოქეს — „ბოტევს", რომელმაც მშვენივრად ითამაშა და სწრაფ გამიზნულ შეტევებს ახორციელებდა. ამრიგად, ცალსახად იმის თქმა, რომ ჩვენ ვერ ვითამაშეთ არ შეიძლება.

— ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენისა და მოზიდვის მიზნით მიმდინარეობს თუ არა სასელექციონერო საქმიანობა?

— ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ. წარმომადგენლები გვყავს ბავშვთა ფეხბურთშიც, ნიჭიერ ახალგაზრდებს რაიონებშიც ვეძებთ. უკვე შევქმენით „დინამო-2", მაგრამ ძლიერი გუნდის შექმნას მაინც დრო ჭირდება ნუ დაგვავიწყდება, რომ რამდენიმე წლის წინანდელი „დინამოც" წლების მანძილზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა.

— დასკვნები, ალბათ, უკვე გამოიტანეთ. პირველ თამაშთან შედარებით რა ცვლილებებია მოსალოდნელი?

— ვნახოთ, თამაშამდე კიდევ რამდენიმე დღეა. ინტენსიურად ვვარჯიშობთ. დღეს რუსთავის „მეტალურგთან" გვაქვს საკონტროლო შეხვედრა. ვეცდებით, რომ ოპტიმალური შემადგენლობა დავადგინოთ. ამას გარდა, გუნდში დაბრუნდა რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც საზღვარგარეთ იყვნენ წასული. მაგალითად: გელა ინალიშვილი, დაბრუნდა კახა გოგიჩაიშვილიც, ალბათ დავით ყიზილაშვილიც შემოგვიერთდება. მაგრამ მათი დაბრუნება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდებს გზას გადაუღობავთ, პირიქით, ჩვენი ვარაუდით ახალგაზრდები ხწორედ გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით უნდა აღიზარდონ და რომელიც უფრო ღირსეული იქნება, ის ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში.

— დღეისთვის ყველა ფეხბურთელი მწყობრშია, ტრავმა ხომ არავის აწუხებს?

— ხომერიკს ცოტა ფეხი ტკიოდა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ტრავმა არ არის სერიოზული და ფეხბურთელი მწყობრში ჩადგება.

— გისურვებთ წარმატებას, მით უმეტეს, რომ თამაშის წინ ბულგარელებს თავხედური განცხადებები გაუკეთებიათ ("ვნახოთ, აქ როგორ იცეკვებენ", „მაგათ სახლშიც მოვუგებთ და სტუმრადაც" და ა.შ.).

არა. სხვათაშორის, თურმე არ ყოფილა შეურაცხმყოფელი განცხადებები. ბულგარელთა მწვრთნელმა ამასთან დაკავშირებით ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ ეს, ალბათ, ჟურნალისტების მორიგი ბლეფიაო.

ესაუბრა

კახა ფანუაშვილი

## საფეხბურთო კალეიდოსკოპი

### ინგლისი — 96

ევროპის სტადიონებზე გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგი ტურის მატჩები. გაგაცნობთ მათ შედეგებს:

I ჯგუფი
საფრანგეთი — პოლონეთი 1:1
აზერბაიჯანი — სლოვაკეთი 0:1

II ჯგუფი
სომხეთი — დანია 0:2

III ჯგუფი
ისლანდია-შვეიცარია 0:2

IV ჯგუფი
ესტონეთი — ლიტვა 0:1

V ჯგუფი
ნორვეგია — ჩეხეთი 1:1

VI ჯგუფი
ლიხტენშტეინი—პორტუგალია 0:7
ლატვია — ავსტრია 3:2

VIII ჯგუფი
ფინეთი- რუსეთი 0:6
შოტლანდია — საბერძნეთი 1:0

### ორი ლიდერი

გაიმართა საქართველოს VII ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის მორიგი კალენდარული მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის კლუბებს შორის. ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო" ფოთში ადგილობრივ „კოლხეთი-1913"-ს შეხვდა. დაძაბული ბრძოლა ფრედ — 1:1 დასრულდა. ჩინებულად ითამაშა სამტრედიის „სამტრედიამ", რომელმაც 3:1 მოუგო უმაღლესი ლიგის დებიუტანტს სენაკის „ეგრისს". კვლავ ძლიერად ითამაშა რუსთავის „მეტალურგმა" (უფროსი მწვრთნელი რ.ძოძუაშვილი), რომელმაც „მეტალურგის" სტადიონზე 3:0 დაამარცხა თელავის „კახეთი". დიდი ანგარიშით — 5:0 ქუთაისის „ტორპედომ" შინ სძლია ლანჩხუთის „გურიას", ხოლო ბათუმის დინამოელებმა შინ 3:0 დაამარცხეს კიდევ ერთი დებიუტანტი — ბოლნისის „სიონი". ასევე დიდი ანგარიშით — 4:0 გაიმარჯვა საკუთარ სტადიონზე ზუგდიდის „დინამომაც", რომელიც ყვარლის „დურუჯს" მასპინძლობდა. ზესტაფონის „მარგვეთმა" სახლში გაანადგურა თბილისის „შევარდენი-1906", რომელსაც ახალი სეზონიდან, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე წვრთნის. მხედველობაში გვაქვს დედაქალაქის კლუბი. დასასრულს, მესამე ტურის ბოლო შეხვედრის შესახებ. გორში „დილამ" 4:1 სძლია ხაშურის „ივერიას".

3 ტურის შემდეგ 9-9 ქულით VII ეროვნულ ჩემპიონატს უდანაკარგოდ ლიდერობენ ქუთაისის „ტორპედო" და რუსთავის „მეტალურგი". მესამეზეა ფოთის „კოლხეთი-1913" — 7 ქულა.

### სოსამ «ბორუსია» აირჩია

ურუგვაის ნაკრების თავდამსხმელი 29 წლის რუბენ სოსა დიდხანს თამაშობდა მილანის „ინტერში". ახლახან ურუგვაელი ფეხბურთელი თავის აგენტთან ერთად გერმანიაში იმყოფებოდა და მოლაპარაკებას აწარმოებდა დორტმუნდის „ბორუსიის" კლუბის ხელმძღვანელობასთან, რომელიც პრაქტიკულად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ურუგვაელი თავდამსხმელის წლიური შემოსავალი 630 000 დოლარი იქნება.

### მეკარემ ბურთი გაიტანა

დასასრულს უახლოვდება სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის გათამაშება, რომელიც ლიბერტადორესის თასის სახელწოდებითაა ცნობილი. კოლუმბიის ჩემპიონი „ატლეტიკო ნასიონალი" ნახევარფინალში არგენტინის „ბოკა ხუნიორსს" ხვდებოდა. როცა ანგარიში იყო 0:0, კოლუმბიელებმა ჯარიმის დარტყმის უფლება მიიღეს. მისი შესრულება იკისრა ამ კლუბისა და ქვეყნის ნაკრების ცნობილმა მეკარემ, გრძელთმიანმა რენე იგუიტამ. 25 მეტრიდან მან ბურთი მის წინ მდგარ ცოცხალ კედელს აშორა და ცხრიანში გაგზავნა — 1:0. ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს კოლუმბიელებმა, რომლებიც საპასუხო მატჩს არგენტინის დედაქალაქში გამართავენ.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან ეკვადორის „ემელეკი" და ბრაზილიის „გრემიო". აქაც ფინალისტს ორი თამაში გამოავლენს.

### ნახევარფინალში გავიდნენ

20 აგვისტოს, ეკვადორში, ქალაქ გუაკილში გაიმართება ფინალური მატჩი, რომელიც გამოავლენს მსოფლიოს ჩემპიონს 17 წლის ასაკამდე ჭაბუკებს შორის. მეოთხედფინალებში თამაშის უფლება 8 ნაკრებმა მოიპოვა. აი, როგორ ლაწყვილდნენ ისინი: პორტუგალია-განა, ნიგერია-ომანი, არგენტინა-ეკვადორი, ბრაზილია-ავსტრალია. ცნობილი გახდა ამ მატჩების შედეგებიც: განა პორტუგალია — 2:0, ომანი-ნიგერია — 2:1, ბრაზილია-ავსტრალია — 3:1, არგენტინა-ეკვადორი — 3:1. ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან ბრაზილია-არგენტინა და განა-ომანი.

### დ.პასარელას გეგმები

ურუგვაიში, სამხრეთ-ამერიკის 37-ე ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, არგენტინის ნაკრების უფროსი მწვრთნელის დანიელ პასარელას მიმართ არ წყდება კრიტიკული შენიშვნები. პასარელამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იწყებს მზადებას მსოფლიოს 1998 წლის საფრანგეთის პირველობის შესარჩევი მატჩებისთვის. ამ მიზნით, მან დაგეგმა, რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჩაატაროს ძლიერ ნაკრებებთან. 9 სექტემბერს არგენტინის ნაკრებს განზრახული აქვს ლონდონში „უემბლის" სტადიონზე შეხვდეს ინგლისის ნაკრებს. იქიდან არგენტინელები 16 სექტემბერს ისრაელში გამოვლენ, ხოლო 20 სექტემბერს მისი გუნდი მადრიდში ესპანეთის ნაკრებს ეთამაშება. „ჩემთვის მნიშვნელობა აღარა აქვს ფეხბურთელებს გრძელი თმები ექნებათ, თუ ნაწნავები, — თქვა გაწბილებულმა მწვრთნელმა, — მთავარია, მათ კარგად ითამაშონ და რაც შეიძლება ზუსტად შეასრულონ ჩემი დავალება".

შალვა ქორიძე

ქიქ-ბოქსინგი

## პროფესიონალური ტურნირი დედოფლისწყაროში

ამა წლის 11 აგვისტოს, დედოფლისწყაროს რაიონის გამგებლის ბეჟან გონაშვილის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ქალბატონ ლია შარმაზანაშვილისა და სპორტკომიტეტის თავმჯდომარის თენგიზ გუმაშვილის ხელშეწყობით, დედოფლისწყაროში ჩატარდა პროფესიონალური ტურნირი ქიქ-ბოქსინგში. ტურნირის ორგანიზატორი იყო დედოფლისწყაროს სპორტული კლუბის „ჩემპიონის" პრეზიდენტი თამაზ ყარაგვეზაშვილი. თბილისიდან ტურნირში მონაწილეობა მიიღეს: სპორტულმა კლუბმა „გზამ" (პრეზიდენტი შოთა ბითაძე) და სპორტულმა კლუბმა „ვერამ" (პრეზიდენტი სოსო დოლიძე).



კახეთის რეგიონში ქიქ-ბოქსინგი კარგადაა განვითარებული. დედოფლისწყაროში და წნორში უკვე რამდენიმე წელია, იმართება შეხვედრები ქიქ-ბოქსინგში, როგორც ფულ-კონტაქტის, ასევე ტაილანდური კრივის წესებითაც. კახელი კაცის დაუდგრომელმა, მებრძოლმა სულმა მიიღო ეს ნამდვილად ვაჟკაცური სპორტის სახეობა. ჩიადაგიც კარგი დახვდა; ქართულ ჭიდაობაში გაკაჟებულმა სხეულმა და ხასიათმა გაუძლო გამოცდას და დაგვანახა, რომ ქართველი ბიჭები ნამდვილი მებრძოლები არიან. კახელ მაყურებელს კი აინტერესებს სპორტის ეს სახეობა და ესმის კიდეც. ესმის იმ გაგებით, რომ კახელი კაცი სწორად გრძნობს, რა არის ნამდვილი და ღირსეული ბრძოლა. სპორტსმენებსაც თავისი ქათინაურებით თუ პროტესტით უბიძგებს, იყვნენ საუკეთესოები.

ტურნირი ჩატარდა სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლში. მსაჯთა კოლეგიას ხელმძღვანელობდა შეხვედრის მთავარი არბიტრი ბატონი ვახტანგ ყველიაშვილი. შეხვედრებმა ძალზე მძაფრად ჩაიარეს. მრავალრიცხოვანი მაყურებლების მიერ წაქეზებული სპორტსმენები თავს არ ზოგავდნენ, ამიტომ მსაჯობაც ძნელი იყო და საპასუხისმგებლო. ბატონი ვახტანგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტურნირზე მსაჯთა არც ერთი გადაწყვეტილება სადავო არ გამხდარა.

ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: ნადირაშვილი (სპორტკლუბი „ჩემპიონი"), თოფურია (სპორტკლუბი „გზა"), ბოსტაშვილი (სპორტკლუბი „ჩემპიონი"), ტოკლიკიშვილი (სპორტკლუბი „ჩემპიონი").

ტურნირში მონაწილე სპორტული კლუბები გაერთიანებულნი არიან „საქართველოს პროფესიონალური ქიქ-ბოქსინგის ეროვნულ ასოციაციაში". ეს ასოციაცია გაფორმდა 1995 წლის აგვისტოში. „საქართველოს პროფესიონალ მოკრივეთა და ქიქ-ბოქსინგელთა" ასოციაციის კრივისა და ქიქ-ბოქსინგის ცალ-ცალკე ასოციაციებად გამიჯვნის შემდეგ. პროფესიონალური ქიქ-ბოქსინგის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტია ბატონი მალხაზ თოფურია, ვიცეპრეზიდენტი შოთა ბითაძე. ასოციაციის გამგეობაში გაერთიანებულნი არიან ქიქ-ბოქსინგის წამყვანი კლუბების პრეზიდენტები ბორჯომის, რუსთავის, ზესტაფონის და დედოფლისწყაროს რეგიონების რეგიონული დირექტორები.

სექტემბერში შედგება ასოციაციის მორიგი რესპუბლიკური შეკრება შემდეგი დღის წესრიგით: 1. საქართველოში ქიქ-ბოქსინგის განვითარების ანალიზი და პერსპექტივები. 2. ასოციაციაში ახალი წევრების მიღება. 3. ასოციაციის გამგეობის შევსება და მის წევრთა დამტკიცება. 4. ასოციაციის სტრუქტურის დამტკიცება. 5. ქიქ-ბოქსინგში 1995 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის მზადების შესახებ. რესპუბლიკური შეკრების ზუსტ თარიღსა და ადგილს შემოგთავაზებთ გაზეთ „კავკასიონის" ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.

შოთა ბითაძე

## ტესტი:

# თოჯინების მუზეუმი

უძველესი დროიდან თოჯინა გოგონების უსაყვარლესი სათამაშო იყო. ქალობაში შესულებს ახლაც სიამოვნებით გვახსენდება ის თოჯინები, რომლებითაც ბავშვობაში ვთამაშობდით.

ქვემოთ ჩვენი დიდი ბებიების დროინდელი თოჯინების ფოტოსურათებს გთავაზობთ. როგორ განსხვავდებიან ისინი თანამედროვეებისგან! მათ მხოლოდ მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში თუ წააწყდები. წარმოვიდგინოთ, რომ თოჯინების მუზეუმის დათვალიერებას ვაპირებთ. ალბათ აუცილებლად გაგვიჩნდება კითხვა: ვის ეკუთვნოდა თითოეული თოჯინა თავის დროზე? პასუხების მიხედვით კი თურმე ჩვენი ხასიათის თვისებებზე შეიძლება მსჯელობა.

გთავაზობთ 3-3 შესაძლო პასუხს. თითოეულ ნახატს ერთ-ერთი პასუხი მიუჩინეთ, შემდეგ კი ცხრილის მიხედვით ქულებს დაითვლით და შესაბამის განმარტებას გაეცნობით.

### დაგროვილი ქულების ცხრილი

| თოჯინა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| a | 15 | 10 | 4 | 24 | 14 | 4 | 20 |
| b | 5 | 1 | 20 | 6 | 3 | 12 | 10 |
| c | 25 | 21 | 13 | 16 | 22 | 23 | 2 |

### ეს თოჯინა ოდესღაც ეკუთვნოდა...



1.

a) ცნობილი მსახიობის ქალიშვილს.

b) მოდელიორის მოსწავლეს.

c) დაობლებულ გოგონას, რომელსაც მოხუცები ზრდიდნენ და ანებივრებდნენ.



4.

a) ქუჩაში ყვავილებით მოვაჭრე ქალის შვილს, რომელიც მდიდარმა კლიენტმა აჩუქა.

b) ცირკის დირექტორის ქალიშვილს.

c) ფინანსთა მინისტრის ქალიშვილს.



6.

a) გამყიდველის შვილს.

b) ერთი მილიონერის დისწულს. ეს თოჯინა მას ბიძამ აფრიკაში გამგზავრების წინ აჩუქა.

c) ინტერნატის მოწაფეს.



2.

a) მეფის ერთადერთ ასულს.

b) გოგონას, რომელიც შემდეგ ცნობილი მწერალი გახდა.

c) მხატვარს, რომელსაც ეს თოჯინა მოღალატე საყვარელს ახსენებდა.



5.

a) ცნობილ მკითხავს, რომელიც ამ თოჯინას თავის თალისმანად მიიჩნევდა.

b) პატარა გლეხის გოგოს.

c) უკურნებელი სენით შეპყრობილ გოგონას.



7.

a) მღვდლის შვილს.

b) გოგონას, რომელსაც თოჯინაზე მეტად უკვე ბიჭუნა მოწონდა.

c) პოლიციის შეფის დისწულს.



3.

a) პატარა პრინცესას.

b) მდიდარი იუველირის ქალიშვილს.

c) გუვერნანტ ქალს, რომელმაც საყვარელი აღსაზრდელის სამახსოვროდ შემოინახა იგი.

### პასუხები

**25-48 ქულა:**

შენ ზომიერად თავშეკავებული ხარ. ადამიანებისა და მოვლენების მიმართ სიმშვიდის და დისტანციის შენარჩუნება შეგიძლია. თუ ისეთ ვინმეს შეხვდები, ვინც თავშეუკავებლად ერევა შენს პირად საქმეებში, არ გეწყინება, მაგრამ ფამილარული საუბრის გაბმის უფლებას არ მისცემ, ტაქტიანად აგრძნობინებ, რომ ზედმეტი მოსდის. თავად კი მშვენივრად ახერხებ თვით ყველაზე გულჩათხრობილ ადამიანებთან კონტაქტში შესვლას, მათ თქვენი დელიკატურობა და სხვისი ხასიათის შეგრძნების უნარი ხიბლავთ. სწორედ სხვა ადამიანების შეცნობის უნარი და ასე აუცილებელი სიმშვიდის წყალობით ახერხებ, რომ პრაქტიკულად ყველა სიტუაციასა და ადამიანს შეეგუო.

**49-75 ქულა:**

ადამიანებთან ურთიერთობაში ყოველთვის ვერ ახერხებ ზომიერი დისტანციის დაცვას. თავად, ბუნებით მოკრძალებული და თავშეკავებული ხარ, ამიტომაც, ინიციატივას სხვებისგან ელოდები. თუ ვინმე შენთან ურთიერთობისას თავისუფალია, გახსნილი და გულღია, — შენც ასევე პასუხობ. ამავე დროს, ზედმეტად მოწესრიგებულ ადამიანებთან თავს უხერხულად გრძნობ. ასევე გიჭირს გაუბედავ და გულჩათხრობილ ადამიანებთან ურთიერთობა. მათთან შენც თავშეკავებული ხდები, ხანდახან არაბუნებრივიც კი. ეს თვისება ხშირად გიძნელებს ადამიანებთან ურთიერთობას და ცხოვრებას გირთულებს.

**76-105 ქულა:**

ადამიანებთან კონტაქტისას ხშირად ზედმეტად იმპულსური, თავისუფალი, დისტანციის დაცვის უნარსმოკლებული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენ. ეს ძირითადად იმის გამო ხდება, რომ შენი თავშეკავებულობა უპირატესობის დემონსტრირებად არ იყოს აღქმული და დაკომპლექსებულ ადამიანებს თქვენს მიმართ გაუბედაობა გაუჩნდეთ.

**106-131 ქულა:**

ნაცნობობის დასაწყისში, თავიდან ისეთი ხარ, როგორიც სინამდვილეში ხარ. თუმცა, თუ შენიშნე, რომ შენი თავისუფლება ვინმეს აუხერხულებს, უმალ თავშეკავებული ხდები. თუ მოინდომე ყველაზე „შეკრულ" ადამიანსაც „გახსნი". თუმცა, ზოგჯერ სიტუაციას სწორად ვერ აფასებ და ზედმეტად ფრთხილი ხდები ისეთ ადამიანებთან, რომლებიც სულაც არ გამოირჩევიან სიფრთხილით, ამას ზოგჯერ გართულებებამდე და უსიამოვნებამდეც კი მიყავხარ.

**132-155 ქულა:**

შენთვის ძალიან ძნელია თანდაყოლილ თავშეკავებასთან განშორება. ეს მხოლოდ თავშეკავება კი არა, თითქოს ერთგვარი უნდობლობაა იმ ადამიანების მიმართაც კი ვისაც დიდი ხანია და ახლოს იცნობ. მხოლოდ ძალიან დელიკატურ, მგრძნობიარე, ტაქტიან და მომთმენ ადამიანებს ძალუძთ იმ საზღვრის გარღვევა, რომლის მიღმაც შენს შინაგან სამყაროს, ნამდვილ გრძნობებს, ოცნებებსა და საზრუნავს მალავ. თუმცა, იცი, რომ ადამიანების მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა, მეგობრები დაგაკარგინოს, შენ მაინც საკუთარი გზით სიარულს ამჯობინებ, სხვების დაუხმარებლად — ეს უფრო უსაფრთხოდ გეჩვენება.

## ანეკდოტები

ერთ-ერთ აფრიკულ ტომში თეთრკანიანი მიათრიეს.

— ეს ვის მოათრიევთ?

— ერთი სტუდენტი დავიჭირეთ.

— მოაცილეთ აქედან, გუშინ ერთ ეგეთ სტუდენტს ვხარშავდი და სანამ წყალი ადუღდებოდა, მთელი კარტოფილი გადასანსლა.

* * *

მამამ შვილები ზოოპარკში წაიყვანა. მაიმუნების გალიას მიადგნენ, მაგრამ ყველა გალია ცარიელი დახვდათ. დარაჯმა უთხრა:

— ახლა მათ ქორწინების პერიოდი აქვთ და განმარტოვდნენ.

მამა ეკითხება:

— იქნებ რამე გემრიელი შევუგდო? როგორ ფიქრობთ გამოვლენ?

დარაჯი:

— თქვენ გამოხვიდოდით?

* * *

მიმდინარეობს სასამართლო.

— ბრალდებულო, აღიარებთ თუ არა თქვენს დანაშაულს ჯგუფურ გაუპატიურებაში?

— ვაღიარებ.

— შემოიყვანეთ დაზარალებულთა ჯგუფი!

* * *

თაგვი სპილოს გაჰყვა ცოლად. მეორე დღეს სპილო მოულოდნელად გარდაიცვალა. ზის თაგვი და მოთქმით ტირის. ცხოველები ეკითხებიან:

— თაგუნა, რატომ იკლავ ასე თავს? სულ ერთი დღე არ იყავი გათხოვილი?

— ერთი დღე კი ვიყავი, მაგრამ ამის დამარხვას რომ მთელი სიცოცხლე მოვუნდები, არაუშავს?

## ლექსიკონი



### თარაზულად

1. ჩვენში მომძლავრდა პროსტიტუცია, დროა, მივილოთ...
6. თუკი ინდომებ სომეხს მასპინძლად, აგერ, ბატონო, დაბა ...
8. ფეხში შემრჭობია ხიჭვი, ნეტავ ნაძვია თუ...
9. მონახულა ამ მთავრობის აქილევსის ქუსლი: უნუგეშოდ დაცემულა ვაუჩერის...
12. თუ არ გაქვს ფული, მაგრამ გინდა, რამე ჭამო, გაიჭინთე და გაიხსენე „წითელი" ...
13. ორი ხელით ჩაებღუჯა ლენინური დროშა და ამიტომაც, საცოდავმა, ჩაუხდელად...
15. მე მოვკლავ დედას, დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ ბრძანებს...
16. ერთ რამეში ჩამოგვრჩება აზია: იქ ცოლები ქმრებს თავზე არ...
18. ჩამოხმი და გაძვალტყავდი, გაგივიდა ლანდი, თავს ნუ იკლავ, ცეცხლი ჭამე, დააყოლე—
20. ღვინო, სულგუნი, ღომი, ბაჟია — მეგრული სუფრის...
21. ამ ბოლო დროს „დინამოში" საქმე არის არეული, თუ ღმერთი გწამთ, დაგვიბრუნეთ ჩვენი გურამ...
24. ერგემლიძე კი ჩავს მოცარტს, მაგრამ არის ცარიელი ის ადგილი, სადაც, წესით, უნდა იჯდეს...
26. მღვრიე წყალში მიცურავს და ყოველ ჩვენგანს მიაქანებს ფაცაცის თეთრი თავი — საქართველოს...
28. ციხისაკენ გააცილა მგლოვიარე თბილისმა. გენერალი კიტოვანი — საქართველოს...
29. გერმანიის ცივ მიწაში ვინ გადარგო ნერგი? დაგვიბრუნეთ, დაგვიბრუნეთ, გვარჯალაძე —
30. კი მინდიხარ, მაგრამ ვიცი — ზედ მექნება შენგან — (იხ.31)
31. გამოსავალი არის მარტივი: უნდა ვიხმაროთ...
32. დავდგათ იმელში დახლები, ნოხით შევცვალოთ პარკეტი და ბაზრის ნაცვლად, ქართველებს, გვექნება —

### შვეულად

2. მტრები ხალხისა ვინღა მოცელოს? გნატრობთ, სადა ხარ, ჩვენო —
3. თავზე დამექცა ფუძეო, დამტოვა ძროხამ —
4. თავისუფლება სიტყვაა ფუჭი, ცარიელია როდესაც —
5. ორლობეში მოდიოდნენ კუპონი და —, ერთმანეთსეუბნებოდნენ: „ვაი რუბლის ბრალი
7. ჭერ სად ხართ, კიდევ მრავალ ბრიყვს და უთვალავ რქიანს შემოგთავაზებთ სამთავრობო —
10. ფეხი იქამდე გაშალე სადამდეც გაწვდეს ...
11. ვინ არ იცის, წერეთელი რა კაცია, რა ტიპი, გონება აქვს მოქნილი და სხეული კი...
13. ჩვენი ლუიზა შაკიაშვილი პარლამენტს შვენის —
14. არც მეტროა, არც ტაქსია, არის სუფთა —
17. ჭოხარს ელცინი დასხმია, ორივეს მაგრად...
19. ეჰ, შეეწირა სიგუა ლაფსუსს. რა ბიჭი წახდა, რა ბიჭი, ...
20. თუკი ტრაქტატს განვაახლებთ ჩვენს უძველეს მტრებთან, საკუთარი უკანალი კი შეგვიცვლის —
22. ჰიტლერი რომ ტყვიებს მაგრად გვიშენდა თავში ხელებს მერე მიტომ —
25. ძაან უნდა ფრედ მერკურის „კითხვიოს", „იორეროს", მაგრამ მაინც არ გამოსდის, ტყვილა მღერის „..."
27. ძველი მთავრობის დამხობა სულ არ ყოფილა ადვილი — ბევრს არ ასვენებს ძილშიაც პეტრიაშვილის —

შეადგინა

**ქეთევან ხიდაშელმა**